რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 30 იანვარი 1918 წ.

ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთი ღირს: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათ. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 23 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 23

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისთვის
ყოველ დღიურ გაზეთ
„ერთობა"-ზე
ხელის მოწერის პირობები

1 თვით — 4 მან. 50 კ.
2 თვით — 9 მანეთი.
3 თვით — 13 მ. 50 კ.
6 თვით — 27 მანეთი
1 წლით — 50 მანეთი
ცალკე № ყველგან 20 კ.

ხელის მოწერის პირობები 1 აპრილამდე (ე. ი. პირველ სამ თვეს) უცვლელ შემთხვევაში უცვლელი დარჩება,
ფოსტის ოფისებში მიღება ხელის მოწერისა შეუძლებელი ბაზრის მდგომარეობით.
გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:
Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА"
ამხ. და თანამგრძნობთ ვსთხოვთ ხელის მოწერას ნუ დააყოვნებენ.

მეუღლე ვერიკა ლუკას ასული, შვილები: იურა, ლეონიდე, მშობლები; სამსონ ბიჭიას ძე და ნინო იორდანეს ასული, დები: ლისა, კეკელა და ძმა გერმან სამსონის ძე პაიჭაძეები, სიძეები: სამსონ ნიკოს ძე გიორგაძე და გაბრიელ ბესარიონის ძე ბერძენიშვილი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ იანვრის 30 დილის 11 საათზედ ქ. თფილისში, წმინდა ნინოს ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

სიმონ სამსონის ძის პაიჭაძის

სულის მოსახსენებლათ. (2—2)

კავკასიის მუშათა დეპ. ცენტრის პრეზიდიუმი აცნობებს ამხანაგებს, რომ 30 იანვარს წმ. ნინოს სასაფლაოზე კავკასიის მუშათა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის წევრის

სიმონ პაიჭაძის

გარდაცვალებიდან 40 დღის თავზე გადახდილ იქნება პანაშვიდი. დასაწყისი დღის 12 საათზე. (1—1)

გულ დათუთქულნი ესტატე ნიკოს ძე, თედორე და ნიკოლა დეკანოსიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ: პირველი საყვარელი შვილისა და მეორენი უძვირფასესი ძმის მოსკოვის უნივერსიტეტის მესამე კურსის სტ.

ერმინე ესტატეს ძე დეკანოსიძის

ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. დაკრძალვა 1 თებერვალს დილით ხუთშაბათს. სოფ. ღარიხევში, სად. ბელაგორი. (2—1)

Во вторник 30 января выйдет первый номер соціал-демократической газеты

„БОРЬБА"

В газетѣ принимают участіе: А. Азатян, Воевада, Гальперин, Гепштейн, проф. Городенскій Н. Жорданія, И. Жорданія, Ишков, Г. Коніев, Кремер, Козлов, Л. Натадзе, Н. Рамишвили, М. Смирнов, Трейман, А. Туманов, Успенская, Н. Цинцадзе, К. Чхеидзе, Д. Шарашидзе и др.

Подписка принимается в конторѣ газеты: пассаж Манташева (Дворцовая площадь, против штаба) а также въ Тифлисском комитетѣ Р. С.-Д. Р. П. (Головинскій 12 во дворѣ) и во всѣх районных коллективах.

Подписная цѣна: 1 год- 40 р., 6 мѣс - 24 р. и 1 мѣс.—4 р.

საკომერციო ცოდნის კურსები
ა. ნ. ინწკირველისა
ბათუმში.

კურსები ოთხ-თვიანია. მეცადინეობა ყოველ დღე საღამოობით 5—8 საათ. კურსებზე მიიღება ყველანი უმაღ. პირველდაწყებით სასწავლებლის ცოდნით. კურსებზე ასწავლიან: საერთო ბუხგალტერიას, კომერციულ ანგარიშს, პოლიტიკურ ეკონომიას, სავაჭრო და სათამასუქო სამართალს, საბანკო ბუხგალტერიას, კოოპერაციას—საკრედიტოსა და მომხმარებელს.

მეცადინეობა დაიწყება 1 თებერვლიდან მარინის ქალთა სასწავლებ. შენობაში.

სწავლის ფასი 200 მანეთი.

კურსებზე ჩაწერა შეიძლება ქალაქის თვითმართველობაში გამგეობის მდივანთან 12—2 საათამდე. (6—2)

ჩვენი ხალხის საყურადღებოთ
ცხადდება, რომ შემოწირულება საქართველოს
ეროვნული ფონდის გასაძლიერებლათ
მიიღება ეროვნულ საბჭოს სამმართველოში (ფრეილინის ქუჩა, № 11 საკუთარი სახლი) დილის 11-დან 3 საათამდე.

პოლიტიკური პარტიები და მომავალი სეიმი

ამიერ-კავკასიის მომავალ სეიმის გარშემო დიდი კამათი სწარმოებს. თითეული პოლიტიკური პარტია მას თავისებურათ აფასებს და განსაზღვრულ თვალსაზრისით უყურებს.

სეიმის პირველ კრებაზევე სოციალისტ-რევოლიუციონერები და დაშნაკციუტუნები სეიმის წინაალმდეგ ამხედრდენ და ორივე პარტიამ აქ თავისი პოლიტიკური ფიზიონომია გამოააშკარავეს. მირთალია კამათის შემდეგ დაშნაკციუტუნებმა თითქოს სეიმის პრინციპიალური მნიშვნელობა გაიზიარეს, მაგრამ ის, რაც იქ სთქვეს, აშკარათ ჰყოფდა, თუ მათ რა პოლიტიკური მოსაზრება ასულდგმულებთ და რათ ეშინიათ მათ სეიმის გახსნა-მოწვევის.

ჩვენ სოციალისტ-რევოლიუციონერებზე ბევრს არას ვიტყვით, ვინაიდან მათი სულისკვეთება აშკარა და ნათელია. ისინი მხოლოდ პლატონიურად ემხრობიან ფედერატიულ რესპუბლიკას, ერთა თვითგამორკვევის პრინციპსა და როცა საქმე პრაქტიკულ ასე თუ ისე მოწყობას მოითხოვს უარყოფით ექცევიან. ეჭვს გარეშეა მომავალი სეიმის სხვა მრავალ პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხების გადაჭრასთან და რევოლიუციონური წესის დამყარებასთან ერთად ომისა და ეროვნული გადამიჯვნის საკითხის გადაჭრაც უნდა მოხდეს. ყველა ეს კითხვები და მათი ასე თუ ისე გადაჭრა ამიერ-კავკასიაში არსებულ პარტიების შორის დიდ უთანხმოებას იწვევს. თუნდაც იგივე ეროვნული გადამიჯვნა, რომელსაც შემდეგში საზოგადოებრივ დაწესებულ. ადგილობრივი ენაზე საქმის წარმოება მოჰყვება. მაშინ ეჭვს გარეშეა რუსულ ენას აღარ ექნება ის პრივილეგიური მნიშვნელობა, როგორიც კი მას ქონდა ბიუროკრატიული წყობილების დროს. პრივილეგიების მოსპობასთან ერთად კი სოციალისტ-რევოლიუციონერებს და მათ წევრებს, როგორც მოხელეთა პარტიას ბევრი რამ მოაკლდებათ. ადგილობრივ ენების საზოგადოებრივ დაწესებულებებში განმტკიცება რუს მოხელეებისათვის ლუკმა პურის საკითხია და ამიტომაც არიან ისინი ასე ალმაცერათ უყურებენ სეიმსა და მის დანიშნულებას.

სულ სხვა მოსაზრებით ხელმძღვანელობენ დაშნაკციუტუნები. მათ ეროვნულ გადამიჯვნის მაგიერ დიდათ აწუხებს კავკასიის ზავის საკითხი და აქედან იწყება მათი უკმაყოფილება. როგორც ვიცით მომავალი სეიმი სხვათა შორის ზავის საკითხსაც შეეხება და მას ასე თუ ისე გადასწყვეტს. თავის თავად საგულისხმოა, სომხის ნაციონალისტები დიდათ დაინტერესებულნი არიან და ისინი შიშობენ, რომ იგი მათ ნაციონალური სულისკვეთების წინააღმდეგ არ გადასწყდეს. რასაკვირველია ამიერ კავკასიის მომავალ სეიმში თავმოყრილი დემოკრატია ზავის საკითხის გადაჭრაში ვერ იხელმძღვანელებს დაშნაკციუტუნის თვალსაზრისით და უკანასკნელებიც თავის თავს მოვალეთ სთვლიან სეიმის მომავალ მოქმედებას აქედანვე უნდობლობა გამოუცხადონ. გარდა ამისა დაშნაკციუტუნებს შეიმისა სხვა გვარათაც ეშინიათ. როგორც ვსთქვით მომავალი სეიმი ეროვნული გადამიჯვნის საქმესაც შეუდგება, საცა მთელი ამ. კავ. შეერთებული დემოკრატია საერთო შეთანხმებულ მოქმედების მეოხებით გადასწყვეტს და აუცილებლათ დემოკრატიული კლასების თვალსაზრისით იხელმძღვანელებენ. უკანასკნელი თვალსაზრისით ხელმძღვანელობა ნაციონალისტებისათვის სასარგებლო არ იქნება და ისინი საკუთარ ძალ-ღონით ცდილობენ მის გადაწყვეტას. საკუთარ ძალით გადაჭრა კი უარყოფაა საერთო შეთანხმების ძალების და მაშასადამე მომავალი სეიმისაც.

ჩვენ აქ არას ვლაპარაკობთ თათრების ნაციონალისტურ პარტიაზე, რომლებსაც მომავალ სეიმში რიცხვით მრავალი წარმომადგენლები ეყოლებათ. არას ვამბობთ, ვინაიდან მათ სეიმის პირველ კრებაზე თავიანთ პარტიული და ნაციონალური სულისკვეთება არ გამოაქვეყნეს და სოციალ-დემოკრატების მიერ წამოყენებულ კითხვას მხარი დაუჭირეს. თუმცა ამ თავიდანვე ვიტყვით, რომ თათრის ნაციონალისტურ პარტიის წარმომადგენლებს და აგრეთვე ქართველ ნაციონალისტების წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატებს მრავალ და არსებით საკითხებში, როგორიც არის მიწის საკითხი, დიდი უთანხმოება მოუვა.

რასაკვირველია მომავალ სეიმში თავს იყრიან ისეთი ძალები, რომელთა შორის დიდი შეხლა-შემოხლა დაიწყება.

დღეს ყველანი სოციალისტობენ, ყველანი რევოლიუციის მიერ წამოყენებულ საკითხების გადაჭრას მოითხოვენ. მაგრამ მათი ასეთი მოთხოვნის გულწრფელობა მალე გამოაშკარავდება და მაშინ დავინახავთ, თუ ვინ არის დემოკრატიის ინტერესების ერთგული დამცველი. მომავალ სეიმში თვითეულ პოლიტიკურ პარტიას საშუალება მიეცემა თავისი სიტყვა სთქვას და სიტყვა საქმეთ აქციოს.

მიწის, ზავის და გადამიჯვნის საკითხების გადაჭრა, რევოლიუციონური წესის დამყარება მრავალ პარტიას ნიღაბს ჩამოხსნის და მათ ფიზიონომიას გამოაშკარავებს. ამავე დროს ისიც გამოაშკარავდება, რომ ამიერ-კავკასიის დემოკრატიას, განურჩევლად ეროვნებისა და რწმენისა, ერთმანეთს შორის სადავო არაფერი აქვთ და ყველანი ერთად დაინტერესებულნი არიან ზევით ჩამოთვლილი საკითხები მათ სასარგებლოთ გადასწყდეს. სწორეთ უკანასკნელ გარემოებაში მდგომარეობს დემოკრატიის სიძლიერე, მომავალ სეიმის სამართლიანობაც. მხოლოდ მომავალ სეიმის მეოხებით, როცა თავს მოიყრის ყველა ერის დემოკრატია, შეიძლება რევოლიუციის მიერ წამოყენებული საკითხების გადაჭრა და რევოლიუციონური წესის დამყარება. მოცემულ პირობებში სეიმი უკეთესი ორგანო იქნება და მხოლოდ სეიმის მეოხებით შეიძლება მრავალი კითხვების დემოკრატიის სასარგებლოთ გადაჭრა. მაშ, ჩვენც მოუწოდოთ ამიერ კავკასიის დემოკრატიას ამ სეიმისაკენ და ვეცადოთ, რომ მისი დადგენილება-გადაწყვეტილება ცხოვრებაში სისწორით გატარდეს.

პრესა

ბ. შაუმიანის გაძევების გამო „ბრძოლა" სწერს:

„კავკასიის საგანგებო კომისარი წარმომადგენელია რუსეთის ცენტრალური მთავრობის. ეს მთავრობა რევოლიუციონურია. მის წინააღმდეგ გალაშქრება რევოლიუციის წინააღმდეგ გალაშქრებაა. ეს დღესავით ნათელია. მაგრამ ამას გარდა ეს გალაშქრება ნიშნავს რუსეთთან ყოველივე კავშირის გაწყვეტას"-ო.

თურმე, თუ შაუმიანს არ ეყმე, ეს რუსეთთან ყოველივე კავშირის გაწყვეტას ნიშნავს. საფრანგეთის თვითმპყრობელი ამბობდა ოდესღაც: „სახელმწიფო ეს მე ვარო". დღეს ამასვე იმეორებენ ბოლშევიკები. ამის შემდეგ რა გასაკვირია „ბრძოლა"-ს სიტყვები: „კავკასია გამოყოფილიც რომ იყოს რუსეთიდან, მაშინაც ცენტრალურ მთავრობას უფლება აქვს თავისი წარმომადგენელი იყოლიოს აქ და როდესაც აქაური „მთავრობა" ამ უფლებას უარყოფს, ის ამითი ომს უცხადებს რუსეთს"-ო.

ასე უკუღმა ესმის „ბრძოლა"-ს ყველაფერი: „კავკასია გამოყოფილიც, რომ იყოს, ცენტრალურ მთავრობას უფლება აქვს თავისი წარმომადგენელი იყოლიოს აქ". თუ გამოყოფილი იქნება, გარედან დანიშნული კომისარი რაღა საჭიროა?

სამაგიეროთ ბოლშევიკების რუსული ორგანო „კავკაზსკი რაბოჩი" ლენინის პიროვნების, ასე ვთქვათ, ღვთაებრივობიდან გამოდის.

მას მოჰყავს ამიერ-კავკასიის კომისარიატის დადგენილება ბ. შაუმიანის გაძევების შესახებ და სწერს:

„მენშევიკ-ობორონცები" დაშნაკელების, ბეგების და თავად-აზნაურობის ნება-სურვილის გამომხატველ იარაღათ გადაიქცენ". „დამფუძნებელ" კრების წევრი ბ. გეგეჭკორი ხელს აწერს ორდერს „დამფუძნებელ" კრების წევრის ამხ. შაუმიანის დაჭერის შესახებ".

ბოლშევიკების ორგანო შაუმიანის გაძევების შესახებ განკარგულებას ისე აცნობს მკითხველს, როგორც მენშევიკების მხრით სამაგიეროს გადახდის სურვილს ლენინის მოქმედების გამო, თუმცა კომისარიატს არც ერთი ბოლშევიკისთვის ხელი არ უხლია, მიუხედავათ მათი პროვოკაციული აგიტაციისა. შაუმიანის წინააღმდეგ თუ ზომები მიიღეს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მან ამიერ-კავკასიის მთავრობათ გამოაცხადა თავი და როგორ შეიძლება ერთს და იმავე კუთხეში ორი მთავრობა არსებობდეს.

„კავკაზსკი რაბოჩი" მაინც არ სცხრება. ის სწერს:

„ობორონცები" რასაკვირველია, ამხ. ლენინის მაგალითს მოიყვანებენ, მაგრამ... Quod licet Jove, non licet bovi".

ესე იგი ბოლშევიკების მიერ მოყვანილი რომაული ანდაზა რომ ქართულათ ვთარგმნოთ, გამოდის, რომ „რაც შეშვენის იუპიტერს, არ შეშვენის ხარსო". გამოდის, რომ ლენინი იუპიტერია, „ზეკაცია. ამიტომ, მაგალითად, თუ თედორე კალანდაძე და ან ფილიპე მახარაძე მოაწერს ხელს გეგეჭკორის დასაჭერ ორდერს კარგია, ხოლო თუ გეგეჭკორი მოაწერს ცუდია. ასეთია ბოლშევიკური მორალი.

ამავე „კავკაზსკი რაბოჩი"-ში ვინმე ოსეპიანცი ამიერ კავკასიისთვის მაგარ მთავრობის შექმნაზე ზრუნავს. ასეთი შეიძლება იყოს მისი სიტყვით „პროლეტარიატის დიქტატურა, ან პროლეტარიატის რევოლიუციონური დიქტატურა ღარიბეს გლეხობის მხარის დაჭერით, ან იმპერიალისტურ ბურჟუაზიის კონტრ-რევოლიუციონური დიქტატურა. საშუალო გზა არ არის და არც შეიძლება იყოსო".

„კავკაზსკი რაბოჩი"-ს ქართული კუდი „ბრძოლა" კი საჭიროთ თვლის „მუშათა, გლეხთა და სალდათთა საბჭოების დიქტატურას". ცხადია, ერთი არ არის „პროლეტარიატის დიქტატურა", რომელსაც „ღარიბესი გლეხობა დაუჭერს მხარს" და შეერთებული დიქტატურა პროლეტარიატის, გლეხობის და ჯარისკაცებისა. საინტერესოა ვიცოდეთ ბოლშევიკების რომელი გაზეთი გამ იხატავს პეტროგრადელ იუპიტერის სწორ შეხედულებას—რუსული თუ ქართული?

* *
*

ქართველ ყოფილ ბრწყინვალე წოდების გაზეთი „ვოზროჟდენიე" არკვევს საკითხს ვინ უნდა გაიმარჯვოს—მენშევიკებმა თუ ბოლშევიკებმა და აცხადებს, რომ ჩვენში ხალხი გაბოლშევიკებულია, თუმცა ოფიციალურათ ამას არ ამბობსო. მერე რა არის, „ვოზროჟდენიე"-ს აზრით ამის მიზეზი? მოვისმინოთ: „მიდით რომელ სოფელშიც გინდათ, იპოვეთ თუნდაც მართლმორწმუნე მენშევიკი და ჰკითხეთ, როგორ უცქერის ის ამ რევოლიუციას და თქვენ დაინახავთ, რომ **ისევ ჩვენებურ მენშევიკების და არა ბოლშევიკურის პროპაგანდის გავლენით** ხალხის მასსა სიამოვნებით ფიქრობს, რომ დღეს სწორეთ სოციალისტური რევოლიუცია ხდება და სოციალიზმის მეფობა უნდა განმტკიცდესო: მხოლოდ ამით აიხსნება ის, რომ ბურჟუაზიის წარმომადგენლებს რევოლიუციურ მოღვაწეობას არ აკარებენო".

ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ „ვოზროჟდენიე" ჭკუას გვასწავლიდეს: უნდა იქადაგოთ, რომ დღეს სოციალისტური რევოლიუცია არ ხდებაო.

უნდა მოვახსენოთ „ვოზროჟდენი"-ეს ზუბრებს, რომ ჩვენ თითონ კარგათ გვესმის ჩვენი მოვალეობა და ისიც, რომ ჩვენ თავად-აზნაურობას ეშინია მიწების დაკარგვის, რასაც ის სოციალიზმის სახელით ასაღებს.

ორიოდე სიტყვა

უფროსი ძმები.

როცა ამ ომის დროს თურქესტანის მხარეში ნიკოლოზის მთავრობას აუჯანყდენ სართები, ყირგიზები და სხვადასხვა „ინოროდცები", ვინაიდან მათ სურვილი არ ჰქონდათ ჯარში სამრად წასვლისა, თუნდაც ეს ჯარში წასვლა მებრძოლი ჯარის ზურგში მუშაობა ყოფილიყო, მეფის მთავრობამ ამ „ინოროდცების" დასაშოშმინებლათ, აჯანყების ჩასაქრობათ, გაგზავნა ცნობილი გენერალი კუროპატკინი.

კუროპატკინმა მოვალეობა პირნათლად შეასრულა, აჯანყება ჩააქრო დ ამის შემდეგ ერთ დღეს მოიწვია გაერთიანებული კრება ამ მხარეში მცხოვრებ რუსებისა და „ინოროდცებისა" და მიმართა მათ: „ინოროდცებო"! ეს რუსები თქვენი უფროსი ძმები არიან, მათ დაუჯერეთ ისე, როგორც უმცროსი ძმა უფროსს დაუჯერებს ხოლმეო.

რუსებო! თქვენ, როგორც უფროსი ძმები, ვალდებულნი ხართ იზრუნოთ უმცროს ძმებზეო.

მეფის მთავრობის ჩვეულებრივი ენა ეს იყო, როცა ეს მთავრობა, ვითომდა უფროსი ძმაზე მზრუნველი, უმცროსი ძმების უკმაყოფილებას ბოლოს მოუღებდა!

თუ როგორ ზრუნავდა ამის შემდეგ „უფროსი ძმა", ეს ჩვენ კარგათ ვიცით.

უმცროსი ძმა როგორც მოუმზადებელი, განუვითარებელი, არავითარ საქმეზე აღარ იყო სავარგისი.

ყველა საქმეებს აწესრიგებდა „უფროსი ძმა".

სკოლაში, სასამართლოში, პოლიციაში, ეკლესიაში, საავადმყოფოებში, გზების თუ წყლების საქმეში, ერთი სიტყვით; ყველგან უფროს ძმას გადაჰქონდა დიად მოვალეობათა მთელი სიმძიმე.

მაგრამ ეს იყო მეფის მთავრობის დროს, შემდეგ, როცა მეფის მთავრობა დაემხო ხმები იყო გავრცელებული, რომელმაც ყველანი დაარწმუნა, რომ ეს „უმცროსი ძმებიც" მომზადებულნი არიან, მათ შესწევთ ძალ-ღონე თავს უპატრონონო, მაგრამ მას შემდეგ, რაც „უფროსმა ძმებმა" მეფის მთავრობის ნაცვლად შექმნეს მუშათა და გლეხთა მთავრობა სრულიად რუსეთისა ვლადიმერ ლენინის მეთაურობით, კვლავ ძველებური ხმები მოგვესმის:

უმცროსი ძმები, ეს „ინოროდცები" ჯერ კიდევ არ არიან მომზადებულნი, ჯერ კიდევ არ ძალ-უძთ მათ თავის თავის მოვლა-პატრონობაო!

ამას ჩაგვჩიჩინებს ჩვენ, „ინოროდც"-ქართველებს, „უმცროს ძმებს" რუსეთის მუშათა და გლეხთა მთავრობის ე. ი., უფროსი ძმების ზრახვათა გამომსახველი ქართული გაზეთი „ბრძოლა", რომელიც მე-19 ნომერში სწერს: „რუსეთის სახელმწიფო დაიყო მრავალ ნაწილებათ. სხვადასხვა ერები სარგებლობენ რა თავისუფლებით და მუშათა კლასის შეუგნებლობით, ლამის არის ზოგმა ბატონ-ყმობა გამოაცხადოს, სადაც სანატრელი შეიქნება ნიკოლოზის რეჟიმი".

აშკარაა, სხვადასხვა ერები (უმცროსი ძმები) ვერ სარგებლობენ თავისუფლებით ღირსეულად, ამიტომ თავის თავად ცხადია, „უფროსმა ძმებმა" უნდა იზრუნონ. და აკი, რუსეთის მუშათა და გლეხთა მთავრობის სახით ეს „უფროსი ძმებიც" ზრუნავენ.

სომხებს დამოუკიდებლობა მიანიჭეს ოსმალეთში!

მაჰმადიანებს ყოველგვარი სიკეთე აღუთქვეს.

უკრაინაში ხომ სავსებით გასწყვიტეს ყველა კონტრ-რევოლიუციონერები, რომლებიც „უმცროს ძმებს" სისხლსა სწოვდენ.

დონის და ყუბანის ყაზახებში ამ ჟამად ებრძვიან „უმცროსი ძმების" მტრებს და როცა იქ მოათავებენ საქმეს, ჩვენ, ქართველებს, გვეწვევიან.

და ისეთ აშკარა კონტრ-რევოლიუციონერებს, როგორიც ჩვენში არიან ნოე ჟორდანია, ევგენი გეგეჭკორი, აკაკი ჩხენკელი, ნოე რამიშვილი და სხ. და სხ., რომლებიც მზათ არიან „ლამის ბატონ-ყმობა გამოაცხადონ", შავ-დღეს დააყენებენ.

და განა ამის შემდეგ ათასჯერ მართალნი არ იქნებიან ამ ჟამად ჩვენთან მყოფნი ზოგიერთი „უფროსი ძმები", რომლებიც ჩვენ, „უმცროს ძმებს" ჩაგვჩიჩინებენ:

ვერ წარმოგვიდგენია რათ უნდათ ქართველებს ქართული უნივერსიტეტი, ეროვნული საბჭო, სკოლების ეროვნულ ნიადაგზე მოწყობა, ქართველ ჯარისკაცების ქართულ ერთეულებში შეგროვება.

ყველა ამაებს ხომ ჩვენ, „უფროსი ძმები" ვაკეთებდით თქვენთვის.

ჩვენ ხომ თქვენდა საკეთილდღეოთ გვაქვს თავი განწირულიო?!

სამოქალაქო ომი

კავკავიდან 27 იანვარს საღამოს 8 საათზე სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირის წარმომადგენელმა ბარდიშმა პირდაპირი მავთულით შემდეგი აუწყა ს. ჟორჟოლიანს:

დღეს, 27 იანვარს, სამხრეთ-აღმოსავლეთის გაერთიანებული მთავრობისაგან შემდეგი ცნობა მივიღე: ბოლშევიკების ცდა, რომ ეკატერინ დარში ძალა-უფლება ჩაეგდოთ ხელში, მათთვის მარცხით დამთავრდა. 21 იანვარს ბოლშევი-

კები ცდილობდენ სად. ენომიდან ეკატერინოდარზე იერიშის მოტანას. ეს სადგური მდებარეობს 10 ვერსის მოშორებით ეკატერინოდარიდან. რაზმი კარგათ იყო შეიარაღებული და მეთაურობდა მას ნოვოროსიელი მინისტრი იაკოვლევი. აქ ბრძოლის დროს ბალშევიკები დამარცხდენ: მათ დაჰკარგეს 5 ზარბაზანი, 12 ტყვიის მფრქვეველი, დიდძალი თოფები. ბრძოლაში მინისტრი იაკოვლევი მოჰკლეს. აქ ბალშევიკების მომხრე ჯარებში მოჰკლეს 200 კაცი, მრავლათ წაიყვანეს ტყვეთ და აგრეთვე მრავალი დარჩა ბრძოლის ველზე.

25 იანვარს, როცა ბალშევიკებს ყრილობა ჰქონდა მოწვეული ეკატერინოდარში; ამ ყრილობას ძალა-უფლება უნდა ჩაეგდო ხელთ, ბალშევიკ ჯარებმა გეორგი-აფონის სტანციის მხრიდან იერიშები მოიტანეს, მაგრამ აქაც უკუქცეული იქნენ. აქ ბალშევიკებმა მოუკლეს მეორე მინისტრი პრაპორშჩიკი სირაძე, მოუკლეს 400 კაცი, 300 ტყვე, წაართვეს 9 ზარბაზანი, 1 მორტირი, 20 ტყვიისმფრქვეველი, სასანიტარო, სასურსათო და საარტილერიო მატარებლები და 1000-მდე ყუმბარა. ამ შეტაკების შემდეგ ყუბანის სამხრეთ-დასავლეთის ნაწილში ბალშევიკების ძალები სრულიად დაიქსაქსა.

მოხდა მობილიზაცია დაწყებული 18 წლის ასაკიდან. სტანიცებში აპატიმრებენ ბალშევიკებს. ყაზახებთან ერთად იბრძვიან ჩერქეზები. ახალგაზრდებთან ერთად იარძვიან მოხუცი ყაზახებიც. ის ყაზახები, რომლებიც ბრძოლაზე უარს იტყვიან, სოფლის განაჩენის ძალით ჰკარგავენ მიწის მიღების უფლებას. ახლო ხანში ყუბანის ოლქიდან სრულიად განიდევნებიან ბალშევიკები.

26 იანვარს მიღებული ცნობით დონის ოლქში მდგომარეობა ასეთია: ჩრდილოეთის ფრონტზე მდგომარეობა სერიოზულია. სად. გლუბოკაიას მხრიდან მოსულმა მტერმა ზარბაზნებიდან ყუმბარები დაუშინა კამენსკაიას სტანიცას, მაგრამ კონტრ-იერიშით ყაზახების რაზმმა მტერს კვლავ სად. გლუბოკაიასკენ დაახევია. ყაზახებს აქ დაეკარგა ბრძოლაში 28 პარტიზანი. სად. ლიხაის მიმართულებით როდაკოვოს მხრიდან ბალშევიკები შეეცადენ სად. პლეშაკოვზე იერიშის მიტანას. ყაზახების ჯარმა დაიხია სად. ლიგაიასკენ და გზა გააფუჭა. პროვალიეს მხრიდან გუშინ მტერს იერიშები მოჰქონდა და დაიკავა გუკოვი. ყაზახთა ჯარის მოწინავე რაზმებმა სად. ზვერევოსკენ დაიხიეს, რკინის გზის ლიანდაგი აჰყარეს. მთელი ღამის განმავლობაში ბალშევიკები არე-მარეს ზვერავდენ და გზას აკეთებდენ. ზვერევოს მიმართულებით ბალშევიკების ძლიერი ჯარები მოდიან.

როსტოვში სიმშვიდე და წესრიგია. ბატაისკში დარაჯებზე თავდასხმა გრძელდება. ტაგანროგთან ბალშევიკებმა შეაკეთეს გზა და მოძრაობა აღადგინეს. სად. ბოგომოლოვკასთან გამოჩნდა მტრის ცხენოსანი რაზმები. სად. ბესერგენევკას და ცემენტის ქარხანას ზარბაზნის ყუმბარებს უშენენ ტაგანროგიდან. ცარიცინის რაიონიდან ცნობები არა გვაქვს.

4 თებერვალს ნოვოჩერკასკში შესდგება ყაზახთა მთავრობის წრის კრება. ამ კრებაზე მოწვეული არიან ოლქში არაყაზახთა წარმომადგენლები. სამხედრო წრის ხელახალი არჩევნები მოხდება დემოკრატიულ საფუძველზე. ეს კრება განიხილავს საკითხს, თუ რა ზომები იქნას მიღებული, რომ ბოლო მოეღოს ძმათა შორის სისხლის ღვრას.

ქართველი მხედრები რუმინიის ფრონტზე

ადესის სამხედრო ოლქში მყოფ საქართველოს სამხედრო საქმეთა კომისარის ბარათაშვილისგან პირდაპირი მავთულით 28 იანვარს შემდეგი ცნობა მოვიდა: მთავარი სარდლის პირველი ბრძანების თანახმად ყველა ქართველი ჯარისკაცები, რომლებიც რუმინიის ფრონტზე იმყოფებიან, სათითაოდ, ან როგორც მოსახერხებელი იქნებოდა, უნდა გაგზავნილიყვნენ კავკასიაში. მეორე ბრძანებაში ნათქვამი იყო, რომ რუმინიის ფრონტზე მყოფი ქართველი ჯარისკაცები ადესაში გამოეგზავნათ იმ პოლკში ჩასაწერათ, რომელიც ქართველებისთვის იყო დანიშნული. ამის შემდეგ ბალშევიკების კომისარმა ნება არ დართო დეპეშით ნალაპარაკევის გადმოცემა.

კავკასიის ფრონტი

25 იანვრის თარიღით მოსული მოხსენების თანახმად ხანის და ჩელიკის რაიონებში თავდამსხმელ ქურთების დასასჯელად 16 იანვარს გაგზავნილმა ჩვენმა რაზმმა სოფ. კიზდიმთან აღმოაჩინა 200 შეიარაღებული ქურთი. ეს სოფელი მდებარეობს ერზინჯანიდან აღმოსავლეთით 25 ვერსის მანძილზე. ორი საათის ბრძოლის შემდეგ ქურთებმა დაიხიეს. მოჰკლეს 65 კაცი.

ვინაიდან ქურთების თავდასხმას ბოლო არ ეღებოდა, 21 იანვარს გათენებისას ჩვენმა რაზმმა ხანსკის ეტაპთან მდებარე სოფელ პეტერიჩზე იერიში მიიტანა; ეს სოფელი გამაგრებული ჰქონდა 200 კაცისაგან შემდგარ ქურთების რაზმს. ვინაიდან ჩვენი იერიშის დროს აღმოჩნდა, რომ ჩვენს ზურგს უკან კარაკლისის მიმართულებით, ეფრატის მარჯვენა ნაპირზე გადმოვიდა ქურთების რაზმი, ამიტომ ჩვენ იძულებული ვიყავით დამატებითი ძალები გაგვეგზავნა.

6 საათის ბრძოლის შემდეგ ქურთები ამ სოფლიდან განდევნილ იქნენ. კარაკლისის მხრიდან წამოსული ქურთებიც გაჰფანტა ჩვენმა ჯარმა. ქურთებს აქ მოუკლეს 100-მდე კაცი.

16 და 18 იანვარს ქალაქ პლატანს ოსმალოთა რაზმმა თოფები დაუშინა, მაგრამ ჩვენმა მზვერავმა რაზმებმა მსროლელნი გაფანტა.

ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე

26 იანვარს ღამის 1 საათზე თფილისიდან გასულ საფოსტო მატარებელს სად. განჯაში თავს დაესხა ავაზაკები და მგზავრებს გაძარცვა მოუნდომეს. ამ მატარებლით მიდიოდენ აგრეთვე ჯარისკაცები, რომელთაც ავაზაკებმა იარაღის აყრა დაუპირეს. სადგურზე სროლამ ნახევარი საათი გასტანა. სროლა არ იყო შეწყვეტილი, რომ მატარებელი წავიდა. ვინ არის გაძარცული ან დაჭრილი მგზავრებიდან გამორკვეული არ არის. წინა ღამით განჯის სადგურზე გაძარცვეს ვაგონები და საქონლის საწყობი: რკინის გზის დარაჯებმა სროლითვე უპასუხეს თავდამსხმელთ.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 5 საათზე გოლოვინის პროსპ. № 12 შესდგება სხდომა საოლქო კომიტეტისა, განსახილველია ფრიად მნიშვნელოვანი კითხვები და ამხანაგებს ვთხოვთ დასწრონ.

◆ **საოლქო კომიტეტის დადგენილება:** „1) მოისმინა რა ცნობა იმ ინციდენტის შესახებ, რომელსაც ჰქონდა ადგილი კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის 26 იანვრის სხდომაზე, საოლქო კომიტეტს პარტიის ინტერესების თვალსაზრისით მიაჩნია შეუწყნარებლათ ამხ. ჯუღელის გამოსვლა, რომელიც სერიოზულ ზიანს აყენებს პარტიას და აძლევს მას სასტიკ შენიშვნას; 2) განიხილა რა საოლქო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგის ნ. რამიშვილის განცხადება კომიტეტის შემადგენლობიდან მის გამოსვლის შესახებ, საოლქო კომიტეტი უცხადებს მას თავის სრულ ნდობას და დაბეჯითებით სთხოვს მას დარჩეს თავის პოსტზე“.

◆ **ეროვნული საბჭოები.** 28 იანვარს მოხდა რ. ს. დ. მ. პარტიის საოლქო კომიტეტის, საკანტროლო კომისიის, თფილისის კომიტეტის, რაიონულ კოლექტივების, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის და ქალაქის საბჭოს ს. დ. ფრაქციების წევრთა კრება. ამხ. აკაკი ჩხენკელმა გააკეთა ვრცელი მოხსენება ეროვნულ საბჭოების შესახებ. მომხსენებელის აზრით დღევანდელი საბედისწერო მდგომარეობის გამო ეროვნულ საბჭოთა არსებობა აუცილებელია. მაგრამ რომ ეს საბჭოები არ გასცილდენ თავის დანიშნულებისა და მოვალეობის საზღვრებს, რომ მათ არ მიითვისონ მთავრობის უფლებები, ამისთვის საჭიროა ადგილობრივ მტკიცე მთავრობის შექმნა. მეორე მომხსენებლათ ამ საკითხის შესახებ გამოვიდა ამხ. მ. სმირნოვი. იგი წინააღმდეგია ეროვნულ საბჭოების; ისინი ხელს უწყობენ ერთა განცალკევებასო. ხანგრძლივი კამათის შემდეგ მიღებულ იქნა ამხ. აკ. ჩხენკელის მიერ წამოყენებული შემდეგი დებულებები: 1) ყველა შეიარაღებულ ძალებს განაგებს ამიერ კავკასიის მთავრობა; 2) ეროვნულ საბჭოებს არ შეუძლიათ მიითვისონ მთავრობის ორგანოების რაიმე ფუნქციები.

◆ **სეიმის დეპუტატები.** საარჩევნო მეტრის შემცირების გამო ამიერ-კავკასიის ცენტრალურ საარჩევნო კომისიის გამოანგარიშებით მომავალ სეიმში საარჩევნო სიით № 1 გავიდა 33 დეპუტატი, № 2—1, № 3—5, № 4—25, № 5—4, № 6—1, № 7—1, № 8—1, № 10—27, № 11—4, № 12—7, № 14—3.

◆ **მუშა საქონლის საჭიროება.** რადგან გურიაში ჭირმა შინაური საქონელი სულ გასწყვიტა, დიდი საჭიროებაა მუშა საქონელზე. ამიტომ ქ. ლანჩხუთის მცხოვრებლებმა მიმართეს კავკასიის ქალაქთა კავშირს მისცენ 300 ცხენი და 50 ხარი. თხოვნა კომიტეტს გარდაეცა განსახილველათ.

◆ **ჯარისკაცები სოფლათ.** თელავის მაზრის კომისარი კ. ანდრონიკაშვილი ატყობინებს ამიერ კავკასიის კომისარიატს და საქართველოს ეროვნულ საბჭოს, რომ სოფლათ ჩამოსულ ჯარისკაცებს ძლიერ ცუდათ უჭირავთ თავი, ხშირათ ახდენენ არეულობას და აწუხებენ მცხოვრებთ. მათ შეურთდა ვე 8 ქართული პოლკის ზოგიერთი ჯარისკაცებიო, ეს პოლკი თელავში დგას.

◆ **კოოპერატიული და წვრილი კრედიტის დაწესებულებათა გამგეობის კრებები** დანიშნულია 2 თებერვალს. ამ კრებაზე დასასწრებლათ წარმომადგენლობა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მინდობილი აქვთ შემდეგ პირთ: დუშეთში შალვა გოგიბაშვილს, თელავში შალვა ჯაჯანაშვილს, სიღნაღში გრიგოლ ნიჟარაძეს და გორში სვიმონ მაჭავარიანს.

◆ **ამიერ-კამკასიის რკინის გზათა** უფროსი ატყობინებს ამიერ-კავკასიის კომისარიატს, რომ 26 იანვრიდან მიმოსვლა იწარმოებს მხოლოდ თფილისის და ალექსანდროპოლის შორის.

◆ **ნახიჩევანიდან** მუშათა და ჯ.-კ. დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე შარიფოვი შემდეგს ატყობინებს იუსტიციის კომისარს: 1916 წლის დეკემბერში აქ ჟაშუშთა მეოხებით დაატუსაღეს ბევრი პატიოსანი მოქალაქენი, რომლებით შემდეგ რევოლიუციის მეოხებით განთავისუფლებულ იქნენ. ეს ჯაშუშები ეხლაც განაგრძნობენ თავიანთ მოქმედებას და ამით ძირს უთხრიან რევოლიუციონურ წესრიგს. საჭიროა გაძლიერებულ იქნეს გამომძიებელი კომისია, რომელიც ბოლოს მოუღებს ამ ძველი რეჟიმის გმირთა მოქმედებას.

◆ **ულუხანლუდან** იტყობინებიან, რომ რადგანაც სადგ. არარატზე თავდასხმები თანდათან ძლიერდება და მუშები ამის გამო სტოვებენ სამსახურს, საჭიროა დაიხუროს სადგური არარატი და სამაგიეროთ განაახლოს მუშაობა სადგ. კამარლიუმ, რომელიც შედარებით უკეთეს პირობებში იმყოფება.

◆ **მასწავლებელთა გაფიცვა.** ჩრდილო კავკასიის სახალხო მასწავლებელთა ყრილობამ გამოაცხადა გაფიცვა ეკონომიურ ნიადაგზე.

◆ **სალიკვიდაციო კომისიები.** ამიერ-კავკასიის კომისარიატთან დაარსდა სამხედრო-საზოგადოებრივ დაწესებულებათა სალიკვიდაციო კომისიები. კომისიების მუშაობაში მონაწილეობას იღებენ ქალაქთა და ერობათა კავშირების მუშამოსამსახურეთა წარმომადგენლები.

◆ **ს.-დემოკრატიული ფრაქციის გაერთიანებული ბიურო.** ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტთან მოსკოვში დაარსდა ს.-დემოკრატიულ ფრაქციის გაერთიანებული ბიურო. ბიუროს უნდა მოაწყოს მუდმივი დამოკიდებულება იქონიოს ფრაქციებთან. ახლო მომავალში განზრახულია ყრილობის მოწვევა.

◆ **წყალსადენი თელავში.** თელავის ქალაქის გამგეობა შეუდგა წყალსადენის კეთებას. წყალი ორი ვერსის სიშორიდან უნდა გამოიყვანონ.

◆ **სურსათი.** 28 და 29 იანვარს თფილისში შემოიტანეს 11 ვაგონი ხორბალი, 1 ვაგონი ფხვნილი შაქარი, 6 ვაგონი ქერი, ერთი ვაგონი კარტოფილი და 4 ვაგონი კვერცხი.

◆ **მკვლელობა.** სოფ. ახმეტაში (თიანეთის მაზრ.) 22 იანვარს. შუა ღამისას თავის მარანში ყაჩაღებმა მოჰკლეს ხანჯლით სამოცი წლის მოხუცი ჯიჯეთის მცხოვრები პაპა თანდილას ძე სულხანაშვილი. მკვლელები ჯერ ვერ აღმოაჩინეს.

კრებები და მიტინგები.

დღეს, საღამოს 5 საათზე დანიშნულია რ. ს. დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის სხდომა. ვინაიდან ამ სხდომაზე უნდა არჩეულ იქნას პრეზიდიუმი, ამისათვის სთხოვენ ყველა წევრებს დაესწრონ.

— დღეს, საღამოს 5 საათზე ნაძალადევის თეატრში დანიშნულია პირველ რაიონის ს. დ. პ. წევრთა კრება. დღის წესრიგი: ამიერ კავკასიის სეიმი, ზავი, სეიმის დამატებითი დელეგაციების არჩევა, პრეზიდიუმი სთხოვს ამხანაგ პარტიის წევრებს დაესწრონ კრებას დანიშნულ დროს.

— დღეს, საღამოს 5 ს., „ახალი კვალი“-ს რედაქციაში დანიშნულია ახალგაზრდა მარქსისტთა თფილისის ორგანიზაციის კომიტეტის და ცენტრალური კომიტეტის სხდომა.

— დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია ქართულ ტეხნიკურ საზოგადოების სამთო ქიმიურ სექციის სხდომა. დღის წესრიგი: 1) სატეხნიკო სექციაში წარმომადგენლის არჩევა; 2) ინჟ. მეძმარიაშვილის მოხსენება შემდეგ თემაზე: მინერალური სიმდიდრე საქართველოსი.

— პარასკევს, 2 თებერვალს, საღამოს 5 საათზე დანიშნულია ყველა სოციალ-დემოკრატ მასწავლებელთა კრება ვერის უმაღლესი პირველდაწყებითი სკოლის შენობაში, არაგვის ქუჩა. ვინაიდან კრებამ უნდა გაარჩიოს ფრიად საჭირო და მნიშვნელოვანი კითხვები, სთხოვენ ყველა ამხანაგებს დაესწრონ კრებას.

— დღეს, სახალხო უნივერსიტეტში ამხ. რიჟკოვი კითხულობს ლექციას საზოგადო ისტორიიდან: ინგლისის მეცხრამეტე საუკუნის სოციალური ისტორია. ჩარტისტების მოძრაობა.“ დასაწყისი საღამოს 7 საათზე. ლექციის მოსმენა უფასოა.

— დღეს, საღამოს 6 საათზე მეექვსე ვაჟთა გიმნაზიის შენობაში (უდელის ქუჩა № 8) დანიშნულია მეოთხე რაიონის წითელ გვარდიელთა კრება.

პროვინციის ქრონიკა

ჯურუყვეთი (გურია). 14 იანვარს შესდგა ჯურუყვეთის სოფლის მუშათა საბჭოს წევრთა კრება; კრების მიზანი იყო საადგილ-მამულო კომიტეტის არჩევა. არჩეულ იქნა: ს. გოგუა, ნ. ანთაძე, მ. დაბორჯგინიძე, ბ. გოგიჩაიშვილი, დ. კვაჭაძე, ს. აფხაზავა, ყ. ტუღუში. კომიტეტის წამომადგენლად და სუფსის რაიონის საადგილ-მამულო კომიტეტის პრეზიდიუმში არჩეული იქნა ყ. ტუღუში.

წინამძღვარიანთკარის სამეურნეო სასწავლებლის გამგეობა ამით აცხადებს, რომ თავისუფალია მასწავლებლის ადგილი აგრონომისა, რომელსაც წელიწადში ექნება 2,520 მანეთი, ბინა, განათება და გათბობა. მსურველებმა უნდა მიმართონ თხოვნით საქართველოს ეროვნულ საბჭოს განათლების (სექციას).

მოწაფეები მიიღება უეგზამენოთ, ვისაც აქვს ორი კლასის მოწმობა პირველ სპეციალურ კლასში 10 თებერვლამდე. სწავლა დაიწყება 10 თებერვალს. მსურველებმა თხოვნები უნდა გაგზავნოთ შემდეგ მისამართით: ст. Мцхеть. წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სასწავლებლის გამგეს სახელზე.

სოფ. ახმეტა (თიანეთის მაზრა). 23 იანვარს ახმეტაში ჩამოვიდენ თიანეთის მაზრის კომისარი ო. ლაცაბიძე და მილიციის უფროსი ნადიბაიძე. ჩამოსვლის მიზანი იყო სახალხო შეიარაღებისა და სხვა საჭირ-ბოროტო საკითხების მოწესრიგება, მეორე დღესვე დილით გაემგზავრენ პანკისის ხეობაში.

აბასთუმანი. 24 იანვარს მოვიდა პოლკოვნიკი რამდენიმე ათეულ შეიარაღებულ თათრებით. დაათვალიერა სასახლე და გასცა ბრძანება: ამეღამ სანატორიუმში მოვისვენებ, რადგან აქ ცივა და ხვალ სასახლეში გადავალო. ისეთი კილოთი ლაპარაკობდა, როგორც სჩვევიათ ძველ პოლკოვნიკებს. იმავე ღამეს ქართველმა ჯარმა დაიკავა სასახლე და თფილისში აცნობა ეს. დილით მოდის დეპეშა პოლკოვნიკის სახელზე, საჩქაროთ დასცალეთ სასახლეო. ცოტა არ იყოს, ეს არ ესიამოვნა ბ-ნ პოლკოვნიკს, მაგრამ იძულებული იყო დაეცალა სასახლე.

ამხანაგებო! დააჩქარეთ გაზეთზე ხელის მოწერა. გაავრცელეთ თქვენი ინტერესების დამცველი გაზეთი „ერთობა“.

ქუთაისის ამბები

მახარაძის და ჭიპაძის საქმე.

22 იანვარს ქუთაისში შესდგა რევოლიუციონური სასამართლო, რომელმაც გაარჩია ქუთაისის ყოფილი პოლიცმეისტრის ლავრენტი მახარაძისა და პროვოკატორის დათიკო ჭიპაძის საქმეები. სასამართლო შესდგებოდა შემდეგი წარმომადგენლებისაგან: სოც.-რევოლიუციონერებიდან: ვს. კაპანაძე და ნიკო ბერიძე; სოც.-დემოკრატ. მენშევიკებიდან: ერისტო ჭავჭანიძე და გიორგი ტუსკია; ს.-დ. ბალშევიკებიდან: მ. მეძმარიაშვილი და ალ. აფხაიძე; ს.-ფედერალისტებიდან: შოთა დადიანი და დომენტი დოლიძე; მუშათა საბჭოდან: ი. გეგეჭკორი და კ. წერეთელი და ჯარისკაცების საბჭოდან ნ. გ. მაჭავარიანი და შოთა დგებუაძე. თავმჯდომარეობდა ი. მაჭავარიანი, მდივნობდა შ. დადიანი. სასამართლომ დაადგინა: დაუყოვნებლივ მოეყვანათ ციხიდან მახარაძე, ხოლო მანამ კი შეუდგა ჭიპაძის საქმის გარჩევას. ბრალმდებლათ გამოვიდა არ. გეგელაშვილი.

ჭიპაძემ თავი დამნაშავეთ იცნო: განაცხადა, რომ მას მთავრობა სდევნიდა, სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, ეს შეუცვალეს ოცი წლის კატორღათ. შემდეგ ინსტანციაში იგი გაამართლეს, მაგრამ ჟანდარმები მას მოსვენებას არ აძლევდენ და მოითხოვდენ დიდი და პატარა „ლადოების“ დაჭერას; იმდენათ „გაუჭირეს“ ჟანდარმებმა მას საქმე, რომ იძულებული გახდა ჟანდარმებთან თანამშრომლობაში დათანხმებულიყო, მაგრამ არასოდეს აზრათაც არ ჰქონია, რომ გაეცა არამც თუ პოლიტიკური, არამედ—ყაჩაღიც, მხოლოდ ატყუებდა ჟანდარმებს, ან, როგორც თვითონ სთქვა: ერთნაირი შანტაჟი გაუკეთა ჟანდარმებს. რომ ის მართლა თანამშრომელი ყოფილიყო ჟანდარმების, მას სამი წლით არც გადაასახლებდენ ასტრახანში და სხ.

სასამართლომ იგი დამნაშავეთ იცნო, მაგრამ მიიღო რა მხედველობაში, რომ იგი დიდიხანია ციხეში ზის, რომ იგი გამოტყდა დანაშაულში და ამით ერთნაირად შეიმსუბუქა სასჯელი, დაადგინა: განთავისუფლებულ იქნას იგი ციხიდან თავდების ქვეშ, რომელიც მისაღები იქნება მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებისთვის.

მახარაძეც მოიყვანეს სასამართლოში. ბრალმდებლებათ გამოვიდნენ: პრაპ. ს. გეგელაშვილი და ზესტაფონის მუშათა საბჭოს წარმომადგენელი პ. გოგიაშვილი. მახარაძემ თავის თავი დამნაშავეთ არ იცნო და განაცხადა, რომ იგი ასრულებდა კანონს და რომ პოლიტიკურებს არ სდევნიდა, მაგრამ პროცესის მსვლელობის დროს გამოირკვა, რომ პოლიტიკურებსაც ისე სდევნიდა, როგორც ყაჩაღებს.

სასამართლომ იგი დამნაშავეთ იცნო და გადაუწყვიტა ციხეში ჯდომა მანამდე, სანამ რევოლიუციის მოპოებანი არ გამტკიცდებიან, მაგრამ, რადგანაც იგი ავათმყოფია, რაც საქმიდან დამტკიცდა, მიეცეს მას ციხიდან გამოსვლის უფლება, თუ კი რომელიმე სამაზრო რევოლიუციონური ორგანიზაცია ითავდებებს.

(„ს. რ.“)

— მუშათა საბჭოს არჩევნებში ს. დ. მენშევიკების სიამ მიიღო ცენტრ. საარჩევნო უბანში (მუშათა საბჭოს ბინაზე) —1191 ხმა, ბალშევიკებმა—162, ს. ფ. 205, ს. რ. 34, რკინის გზის საარჩევნო უბანში—ს. დ. მენშევიკებმა—261, ბალშევიკებმა—27, ს. ფ.—24, ს. რ. 13 ხმა. ფოსტა-ტელეგრაფის საარჩევნო ყუთში ს. დ, მენშევიკებმა მიიღეს—88, ბალშევიკებმა—16, ს. ფ. 96, ს. რ. 00 წვრილი ჭემოხელეების საარჩევნო ყუთში—ს. დ. მენშევიკებმა 61, ბალშევიკებმა—6, ს. ფ.—104, ს. რ. 1 ხმა. (ს. დ.).

ყოველი პარტიის წევრი მოვალეა საკუთრათ გამოიწეროს პარტიის ცენტრალური ორგანო „ერთობა“.

მუშ., ჯარ. და გლეხთა დეპუტ. საბჭოთა ცენტრში

26 იანვარს ჩხეიძის თავმჯდომარეობით მოხდა კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის სხდომა. კავკასიის ჯარის საბჭოს წარმომადგენელმა გააკეთა მოხსენება სამხედრო-ტეხნიკურ კომიტეტის შესახებ. ეს საკითხი გადაეცა საგანგებო კომისიას განსახილველათ.

ეროვნებათა საერთო სამხედრო საბჭოს რეორგანიზაციის შესახებ მოხსენება გააკეთა ჩიკალინმა. მომხსენებელი იძლევა წინადადებას მიიღონ შემდეგი დებულებები: 1) ცალკე ეროვნულ საბჭოთა არსებობა გვიკარნახებს ეროვნებათა საერთო სამხედრო საბჭოს საჭიროებას, ა) ნაციონალურ ნაწილების მოწყობის დროს ცალკე ეროვნულ საბჭოთა მოქმედების შესათანხმებლათ; ბ) როგორც მომრიგებელი კამერა ეროვნულ საბჭოთა შორის; 2) როგორც ტეხნიკური ორგანო, ეროვნებათა საერთო სამხედრო საბჭო არჩევს ნაციონალურ ჯარების შედგენის, მოწყობის და საჭირო მასალით უზრუნველყოფის საკითხებს; 3) ეროვნებათა საერთო სამხედრო საბჭოს დადგენილებანი ტარდება ცხოვრებაში მხოლოდ სამხედრო-საზღვაო კომისარის საშუალებით; 4) საბჭო არის დროებითი ორგანო და მოქმედობს, სანამ არ აირჩევენ დემოკრატიულ საფუძველზე ახალ ორგანოს.

ივანოვი (ს.-რ.) მოითხოვს გაუქმებულ იქნას ეროვნებათა საერთო სამხედრო საბჭო, მან მოაწყო შამხორის ტრაგედიაო.

ნოე რამიშვილი პროტესტს აცხადებს ასეთ ბრალდების წინააღმდეგ. ეროვნებათა სამხედრო საბჭოს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს შამხორის ტრაღედიასთანო. ჯუღელი ტყვილა ამტკიცებდა, რომ სამხედრო საბჭოს შემადგენლობა კონტრ-რევოლიუციონურიაო. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, საბჭოს წევრთა უმრავლესობა სოციალისტებია. ჩვენ იქ პოლიტიკურ კითხვებს არ ვარჩევდით, ვაკეთებდით მხოლოდ ტეხნიკურ საქმეებს. საბჭოს არ მიაჩნია თავის თავი არც მუდმივ ორგანოთ. იგი იმოქმედებს მხოლოდ ნაციონალურ სამხედრო ნაწილების ყრილობის მოწვევამდე.

ვ. ჯუღელი ილაშქრებს როგორც ეროვნებათა საერთო სამხედრო საბჭოს, ისე ეროვნულ საბჭოთა წინააღმდეგ. კერძოთ იგი ცდილობს დაამტკიცოს, რომ სამხედრო საბჭოს მოქმედება არა სოციალისტურია. მათ ნაციონალური ხასიათი მიიღოვო. აგრეთვე ვ. ჯუღელი ამბობდა, რომ სამხედრო საბჭოებს შამხორის საქმეში წილი უდევსო.

აკ. პაპავა (ს.-ფ.) არ ეთანხმება ვ. ჯუღელს და ამტკიცებს ეროვნულ საბჭოთა აუცილებლობას დღევანდელ პირობებში.

ვერიგინი. ძირს ყველა ეროვნული საბჭოები, მთელი ძალა-უფლება უნდა გადავიდეს მუშ., ჯარ. და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის ხელში.

არზუმანოვი (დაშნ.) წინააღმდეგია ეროვნებათა საერთო სამხედრო საბჭოის რევოლიუციას თუ იხსნის,—ეს მხოლოდ დემოკრატიის მარცხენა ფრთა—ბალშევიკები (რამიშვილი ადგილიდან: აა, გამოტყდით განა?).

სიტყვა ეძლევა ნოე რამიშვილს. მან განაცხადა, რომ ჯუღელის სიტყვები სიცრუეა, თვით ჯუღელი ამ შემთხვევაში ცილის მწამებელიაო. ჯუღელი ადგილიდან იძახის: სიცრუე კი არა, სინამდვილეა, ამას ფაქტებით დავამტკიცებო. რამიშვილმა კიდევ განიმეორა თავის სიტყვები, რამაც გამოიწვია ჯუღელის მხრითაც ასეთივე სიტყვები. ინციდენტმა დიდი აღელვება გამოიწვია. მენშევიკების ფრაქციის მოთხოვნით სხდომა რამდენიმე წუთით შეწყდა.

მენშევიკების ფრაქციამ განიხილა ინციდენტი და საერთო კრებაზე შემდეგი განაცხადა:

კომპეტენტურ დაწესებულებების მიერ შამხორის ამბების განხილვამდე ფრაქციას ამ ამბების ყოველგვარი შეფასება, კერძოთ შეფასება ამხ. ვ. ჯუღელისა, მიაჩნია კერძო მსჯელობათ, რომლისათვის პასუხს აგებს თვით ორატორი—ამხანაგი. რაც შეეხება იმ გამოთქმებს, რომელიც იხმარეს ჩვენმა ამხანაგებმა რამიშვილმა და ჯუღელმა, ფრაქციას მიაჩნია ეს გამოთქმები შეუწყნარებლათ და გამოსთქვამს ღრმა მწუხარებას კრების წინაშე.

გაგრძელდა კამათი სამხედრო საბჭოს შესახებ. ამხ. კ. ნინიძეს შეუძლებლათ მიაჩნია ეროვნულ საბჭოების წინააღმდეგ ასე ხელმოსმით გალაშქრება. ბევრმა ქართულ უნივერსიტეტის გახსნაც კი სოციალიზმის ღალატათ გამოაცხადა. ჩვენში კიდევ არის დარჩენილი გაბატონებული ერის ბიუროკრატიზმი. შემდეგ ორატორი ეხება არზუმანოვის გამოსვლას, აღნიშნავს, რომ იგი უწინ იცავდა ეროვნულ საბჭოებს, სულ სხვა მიმართულებას ადგა და დღეს არზუმანოვი ხომ არ იმყოფება სომხეთის შესახებ ბალშევიკების დეკრეტის გავლენის ქვეშო. რაც შეეხება ეროვნებათა საერთო სამხედრო საბჭოს—თუ იგი დამნაშავეა, ამას საგამომძიებლო კომისია განიხილავს.

ლაპარაკობს კიდევ რამდენიმე ორატორი. ვინაიდან ეს საკითხი მჭიდროთ არის შეკავშირებული ეროვნულ საბჭოების საკითხთან, მომხსენებელის წინადადებით ეროვნებათა საერთო სამხედრო საბჭოს შესახებ დადგენილების მიღება გადაიდო შემდეგი სხდომისათვის.

სხდომის დასასრულ ვ. ჯუღელმა ბოდიში მოიხადა კრების წინაშე თავის სიტყვებისათვის.

თფ. მუშ. და ჯ.-კაცთა დეპუტატების საბჭოში

ეს სულ ახლახან იყო. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს წევრთა მეორე არჩევნების შემდეგ ბალშევიკები საგრძნობ ძალას წარმოადგენდენ საბჭოში. ეს ძალა იყო თფილისის გარნიზონის ზოგიერთ სამხედრო ნაწილების წარმომადგენელი ჯარისკაცები. ყველამ იცის თუ როგორ ეჭირათ მათ თავი, ყველამ იცის, თუ როგორ უშლიდა საბჭოს მუშაობას „მარცხენა სექტორის“ ზოგიერთი წევრების უადგილო გამოსვლები, გამომწვევი მოქმედება.

მაგრამ გავიდა დრო და მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. ჯარი სახლში წავიდა. მას თან გაყვა მისი წარმომადგენელი „ბალშევიკი“ დეპუტატები და საბჭოს 28 იანვრის სხდომაზე სულ ახალი სურათი წარმოგვიდგა თვალწინ: „მარცხენა სექტორი“—ასე უწოდებდენ ბალშევიკები თავის თავს—თითქმის სავსებით დაცარიელებულა, ბალშევიკების რაზმი ახლა სულ რაღაც 17 კაცისაგანაა შემდგარი; გახოკია-ტრაპაიძეები ახლა მარტოობას გრძნობენ, ნაღვლიანათ გამოიყურებიან. მაგრამ მათ შეუძლიათ მაინც დამშვიდებული იყვნენ: თუ მათი ძველი დამქაშები დღეს ტამბოვის გუბერნიაში აწყობენ „მთვრალ დარბევას“, სამაგიეროთ მათ ახალი წევრი მიემატათ. ეს ახალი წევრია—არშაკ ბაბოვი. ახლა არშაკ ბაბოვი ამშვენებს „მარცხენა სექტორს“, ახლა მას დაუჭერია რუს ჯარისკაცების ადგილი და მენშევიკ ორატორებს შოვინისტს, ბურჟუების მიერ მოსყიდულს ეძახის. ვ. ჯუღელმა მიულოცა ბალშევიკებს ახალი წევრის შეძენა. და ვფიქრობთ, არშაკ ბაბოვის გაბალშევიკება სიმპტომატიური მოვლენაა, ეს საუკეთესო მაჩვენებელია ბალშევიკების გაკოტრებისა.

ვ. ჯუღელმა გააკეთა მოხსენება ამიერ-კავკასიის სეიმის შესახებ. იგი შეეხო დღევანდელ მძიმე მდგომარეობას და აღიარა სეიმის მოწვევის საჭიროება, რომ შესაძლებელი გახდეს ადგილობრივ რევოლიუციის განმტკიცება და ერთა შორის სოლიდარობის დამყარება. გაიმართა კამათი. ბალშევიკ ორატორები არც კი შეხებიან სეიმის საკითხს, მათ ბევრი ილაპარაკეს კალედინზე, ჩრდილოეთ კავკასიაზე, ამტკიცებდენ—როგორც მომხსენებელმა აღნიშნა საპასუხო სიტყვაში—რომ კონტრ-რევოლიუციონური მთავრობის მოქმედება კონტრ-რევოლიუციონურიაო და სხ. ცხადია, მათ ვერ გაბედეს სეიმის წინააღმდეგ გალაშქრება, რომლის მოწვევას მოითხოვს ამიერ-კავკასიის დემოკრატია. სამაგიეროთ, გახოკიას და კომ. „სკანდალის“ სურვილი არ დაუკარგავთ. როცა ამხ. გ. ცინცაბაძემ მათ შესაფერი სახელი უწოდა, ამან ძლიერ აღელვა „მარცხენა სექტორი“, ასტეხეს აურ-ზაური, გამორბოდენ ტრიბუნისკენ, იმუქრებოდენ, ყვიროდენ, მუშტებს იქნევდენ, მა-

რა მალე დაწყნარდენ, სულ ორი-სამი კაცი იყო და ვერ მოახერხეს კრების ჩაშლა.

ხმის დიდი უმეტესობით მიღებულ იქნა მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი შემდეგი რეზოლიუცია: „განიხილა რა ცნობა ამიერ-კავკასიის სეიმის მოწვევის საკითხის შესახებ, თფ. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, სცნობს რა 1) რომ სახალხო კომისართა მთავრობის მიერ დამფუძნებელ კრების გარეკამ გასწყვიტა ის უკანასკნელი ძაფი, რომელიც აკავშირებდა ამიერ-კავკასიას რუსეთის რესპუბლიკის ცენტრთან; 2) რომ ამ გარეკით ეძლევა შემდეგი განვითარება იმ ანარქიასა და სამოქალაქო ომს, რომლებმაც ასე ფართოთ მოიცვეს მთელი ქვეყანა; 3) რომ თავის ანაბარათ დარჩენილ ამიერ-კავკასიის რევოლიუციონურ დემოკრატიის პოლიტიკური ვალი მდგომარეობს გმირული ზომების მიღებაში ადგილობრივ ტერიტორიაზე რევოლიუციონურ ძალთა გასაერთებლათ და მათი მთლიანობის გასამაგრებლათ, რომ ამით უზრუნველყოფილი იქნას პირველი ნაბიჯი მთელი რუსეთის რევოლიუციონურ დემოკრატიის რევოლიუციონურ ფრონტის მთლიანობის აღსადგენათ. ამ მიზნით თფ. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს საჭიროთ მიაჩნია დროებით, სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების მოწვევამდე ამიერ-კავკასიის სეიმის შექმნა საკანონმდებლო ფუნქციებით. რევოლიუციონური ორგანიზაციები ვალდებულია მხარი დაუჭირონ სეიმის ყველა ნაბიჯებს ნაციონალისტურ და კონტრ-რევოლიუციონურ წრეების ცენტრიდან მსრბოლ, შოვინისტურ და რეაქციონურ მისწრაფებათა წინაალმდეგ, რომ ამით შესაძლებელი გახდეს რევოლიუციონური დემოკრატიის ყველა მოპოებათა განვითარება და განმტკიცება".

ბოლშევიკების რეზოლიუციამ მიიღო მხოლოდ 17 ხმა. არშაკ ბაბოვმაც ბოლშევიკების რეზოლიუციას მისცა ხმა.

ამ საკითხში დამარცხებულმა ბოლშევიკებმა შემოიტანეს შეკითხვა სტეფანე შაუმიანის შესახებ: ჰქონდა თუ არა ამიერ კავკასიის კომისარიატს უფლება დაეტუსაღებია ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე სტეფანე შაუმიანიო. როგორც ხედავთ, ბოლშევიკებმა განზრახ ჩაიდინეს სიყალბე, მათ განზრახ არ ახსენეს თავის შეკითხვაში „საგანგებო კომისარი" და ბაქოს საბჭოს თავმჯდომარეზე დაიწყეს ლაპარაკი.

სჩანს, ძლიერ ცუდი წარმოდგენა ჰქონიათ ბოლშევიკებს საბჭოზე, რომ ასეთი ხრიკებით ჰფიქრობდენ მის მოტყუილებას. ამხ. ევგენი გეგეჭკორმა, რომლის გამოსვლას საბჭო ოვაციებით შეხვდა, ფარდა ახადა ბოლშევიკების ასეთ სიყალბეს. მან სთქვა: ამიერ-კავკასიის კომისარიატის დადგენილება ეხებოდა არა ბაქოს საბჭოს თავმჯდომარეს ს. შაუმიანს, არამედ—კავკასიის „საგანგებო კომისარს" სტეფანე შაუმიანს. ამიერ-კავკასიის კომისარიატი არის აღმასრულებელი ორგანო იმ ორგანიზაციებისა, რომლებმაც იგი შექმნეს. იგი პასუხისმგებელია რევოლიუციონური წესრიგის დაცვაში. ჩვენ დანაშაულს ჩავიდენდით, აქ თუ ანარქიის განვითარებას დავუშვებდით. და როცა თქვენ მიერ არჩეულ მთავრობის გვერდით ერთი პირი აცხადებს თავის თავს უმაღლეს მთავრობათ, ცხადია, კომისარიატს ან უნდა აელო ხელი თქვენ მიერ დაკისრებულ მოვალეობის შესრულებაზე, ან შესაფერი პასუხი გაეცა ამ პირისათვის. ჩვენ შაუმიანის დატუსაღება კი არ დაგვიდგენია, ჩვენ წინადადება მივეცით მას დაეტოვებია ამიერ-კავკასიის საზღვრები. და თუ არ დაემორჩილებოდა ჩვენს გადაწყვეტილებას, მაშინ დავატუსაღებდით. ნაჩვენები მისამართით შაუმიანი და მისი მდივანი კუზნეცოვი ვერ იპოვნეს, ეს „მთავრობა" სადღაც გაქრა... დღეს „კავკაზსკი რაბოჩი" სწერს: ჩვენ ვიცით, რომ მიგვითითებენ ლენინის მაგალითზე, ისიც ატუსაღებს მოწინაალმდეგეებსო, მაგრამ რაც ლენინს შეუძლია ჩაიდინოს, იმას ვერ მოიმოქმედებს გეგეჭკორიო. ეს ნამდვილი ჰოტენტოტური მორალია. ყოველ შემთხვევაში არა ისინი უნდა გვიკიჟინებდენ ჩვენ ასეთ ნაბიჯის გადადგმას, რომლებიც ხვრეტენ თავის მოწინაალმდეგეებს, რომლებიც სასტიკათ სდევნიან ჩვენს საუკეთესო ამხანაგებს. ამიერ-კავკასიის კომისარიატი თავის დადგენილებით ასრულებდა თქვენს ნება-სურვილებს (ხანგრძლივი ტაში).

საბჭომ ამ საკითხის შესახებ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა ამიერ-კავკასიის კომისარიატის თავჯდომარის განმარტება ამიერ-კავკასიის საზღვრებიდან შაუმიანის გაძევების საკითხის შესახებ, თფ. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო იწონებს ამიერ-კავკასიის კომისარიატის დადგენილებას, უცხადებს სრულ ნდობას ამიერ-კავკასიის კომისარიატს და გადადის მორიგ კითხვებზე.".

ვენ-სონ.

რამდენათ მეტი ვრცელდება გაზეთი, იმდენათ მას უადვილდება არსებობა. თვითეულმა საკუთრათ გამოიწერეთ გაზეთი „ერთობა".

ცოტა რამ მასწავლებლებზე

რუსეთის დიდმა რევოლიუციამ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფები აამოძრავა და გამოიყვანა სამოქმედო ასპარეზზე. და აი აქ, როცა ისინი ამოქმედდენ, დაგვანახეს თავიანთი ფიზიონომია, ავლა-დიდება და გამოააშკარავეს, თუ როგორ ღირებულებას წარმოადგენენ ისინი ამ დიად ისტორიულ ხანაში. თავისთავათ ცხადია, რომ არც მასწავლებლობა გადურჩა საზოგადო კანონს, მასაც მოხვდა რევოლიუციის ტალღა და აამოძრავა იგი. დაჩაგრული მასწავლებლობა წამოდგა ზეზე და ცდილობს გამოერკვას ახალ პირობებში. მას აღეძრა სურვილი შეკავშირებისა, მოინდომა თავისი ხელში აღება სწავლა-განათლების საქმესა. მაგრამ დახეთ უბედურებას! მასწავლებლობა სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა ახალი წესწყობილებისთვის, ის ჩამორჩენილი აღმოჩნდა თვით მოხელეებზედაც. ასეთი მოვლენა ერთის შეხედვით, თითქო გაუგებარია. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, თუ რას წარმოადგენდა შკოლა და მასწავლებელი ძველ რუსეთში და რა მიზანს ემსახურებოდნენ, ადვილი გასაგები იქნება ზემოაღნიშნული მოვლენა.

მასწავლაბელი ძველ რუსეთში ყველაზე უფრო დაჩაგრული და დაბეჩავებული იყო. ძველმა წესწყობილებამ მასწავლებლობას წაუშლელი დაღი დაასვა—მან დაიმონავა მასწავლებელი გონებრივად. აშკარაა, რომ მასწავლებელი ძველ პირობებში ვერ განვითარდებოდა და პოლიტიკურათ ვერ მოემზადებოდა. ამ ახალ ხანაში, როგორც ქალაქებში, ისე პროვინციაში იმართება მასწავლებელთა კრებები. ვინც ამ კრებებს ესწრება, იმისთვის აშკარა უნდა იყოს ზემოთ ნათქვამი.

მასწავლებლობამ ალღო ვერ აართვა რევოლიუციას. დემოკრატიის მიერ მოხდენილი რევოლიუცია თავისათ ჩათვალა. დემოკრატიის ბატონობის მაგიერ მასწავლებლობის ბატონობა წამოაყენა. მან მოინდომა სწავლა-აღზრდის საქმის თავის ხელში ჩაგდება. მასწავლებელთა უმრავლესობამ სრული დამოუკიდებლობა მოითხოვა ამ საქმეში. თითქმის ყველა კრებებზე ჩვენში და რუსეთშიაც მასწავლებლობამ ხმის უმეტესობა მოითხოვა იმ ორგანიზაციებში, რომლებიც ხალხის სწავლა-აღზრდის საქმეს აწარმოებენ. მასწავლებელთა და ინსპექტორ-დირექტორების არჩევა თავის მოვალეობათ აღიარა და კიდეც შეუდგა საქმეს. როგორც ქუთაისის, ისე თფილისის გუბერნიაში მასწავლებლებმა ბევრგან აირჩიეს თავიანთი კაცები. თითქმის ყველა კრებებზე გაიგონებთ, რომ სწავლა-აღზრდის საქმე მასწავლებლების საქმეა და მაშასადამე მას უნდა დაუთმოს პირველი ადგილი ყოველგვარ სასკოლო კომიტეტებში, კომისიებში, სექციებში და სხვა. ამ ნიადაგზე არა ერთი და ორი შეტაკება მოხდა მასწავლებელთა ⁊ დემოკრატ. ორგანიზ. შორის. მასწავლ. განაგრძობს ამ მხრივ ბრძოლას და სცდილობს ამ საქმეში დემოკრატიას გამოსტაცოს პირველობა. ასეთი მოვლენა არა ნორმალურია. ყოვლად შეუძლებელია, რომელიმე პროფესიონალურ ორგანიზაციას მიენიჭოს ასეთი უფლება. არსად, არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს ისეთი წესი, რომ რომელიმე პროფესია თვით დამოუკიდებლად განაგებდეს თავის საქმეს: ირჩევდეს ამხანაგებს, ხელმძღვანელებს ⁊ სხვა. მით უმეტეს არ შეიძლება ეს უფლება მიეცეს მასწავლებლებს რევოლიუციონურ ხანაში, ვინაიდან თვით მასწავლებლობა საჭიროებს ერთგვარ „დეზინფექციას". მასწავლებლებში არა ერთი და ორია ძველი რეჟიმის მოტრფიალე და საეჭვო პიროვნება. მასწავლებლობა, როგორც ასეთი წარმოადგენს გამოურკვეველ მასას, რომელსაც არ შეუძლია ჯეროვნულად უხელმძღვანელოს დემოკრატიულ სკოლას. რევოლიოციის პირველ თვეებში დემოკრატიას ვერ შეეძლო ჯეროვანი ყურადღების მიქცევა სკოლისადმი. ამ დროს განმავლობაში არაფერი ცვლილება არ მომხდარა სკოლაში: ძველი დაინგრა და ახალი არ შენდება. აქაც, როგორც ყველგან, ანარქია მეფდება. საჭიროა დემოკრატიამ ეხლავე შესაფერისი ზომები მიიღოს და სწავლა-აღზრდის საქმე თვით აიღოს ხელში. დაყოვნება შეუძლებელია. დემოკრატიამ უნდ იხსნას სკოლა იმათგან, ვინც მის დაპატრონებას ჩემულობს და მოაწყოს ისე, როგორც ეს მის ინტერესებს შეეფერება.

პ. ს—შვილი.

ჟერმანე ჟორჟენაძეს

ჩემო გერმან! სიკვდილის ჟამს
მკითხულობდი,
მნატრულობდი;
მოველ, გნახე,
და ვაგლახ-მე,—
თეთრ კუბოში ველარ გცნობდი.

—

ჩემო ძვირფასო! ცხოვრებაში ძმად გიგულებდი,
შენის სიწრფელით, კეთილ გრძნობით, მიყვარდებოდი;
შენ ჩემთან იყავ, მეც უშენოდ ვერსადა ვძლებდი,
ფიცსაც-კი ვდებდი, რომ არასდროს დაგშორებოდი...

შენ-კი, მიმტყუნე. დამირღვიე აღთქმა და ფიცი,
ჩამომიშორე, მიღალატე, შორს გამეპარე;—
ეჰ, გერმან, გერმან, რად მიმუხთლე, რად მიმატოვე,
რად არ მაკმარე ესოდენი ხვედრი სიმწარე?..

სად, სადღა შევხვდე, მეგობარო, რომელ მხარეში,
ან ვინღა ვჰპოვო შენი მსგავსი, შენი ბადალი?
ეჰ, ამაოა ყოველივე... მორჩა... გათავდა...
ამაო ძებნას ამაოდღა დაგიწყებს თვალი...

ოხ, გერმან!—ნეტავ არასოდეს არ გაგცნობოდი,
ნეტავ არ მეგრძნო მე შენდამი ძმური კავშირი:
ჩემს სულის ჰმუნვას, გულის ვარამს შენ ერთს განდობდი,
დღეს კი, უსიტყვოდ, შენს ცხედართან მუნჯივით ვსტირი.

მშვიდობით გერმან... საუკუნოდ იყავ მშვიდობით...
უკანასკნელად გეთხოვები ცრემლ-დაშრეტილი...
არ დაგივიწყებ... არასოდეს არ დაგივიწყებ...
შენ ჩემთან ივლი თანამგზავრად, ვით ჩემი ჩრდილი...

გ. ქუჩიშვილი.

მასწავლებელთა გაფიცვის გამო

ქუთაისის სოციალ-დემოკრატიულმა კომიტეტმა განიხილა საკითხი მასწავლებელთა გაფიცვის შესახებ და მიიღო რა მხედველობაში: დღევანდელი პოლიტიკური და ფინანსიური კრიზისი; რომ რევოლიუციონური მთავრობა ყოველივე საშუალებას იღებს, რათა მასწავლებელთა სამართლიანი მოთხოვნილება დააკმაყოფილოს; რომ გაფიცვა, როგორც საშუალება ბრძოლის, მიმართულია რევოლიუციონური ორგანოების წინააღმდეგ; რომ გაფიცვას შეაქვს დეზორგანიზაცია, ასუსტებს და კიდევ უფრო ართულებს ისედაც გართულებულ მდგომარეობას სოფლათ და ქალაქათ; რომ შესაძლებელია ამ ნიადაგზე გამწვავდეს ხალხსა და მასწავლებელთა შორის დამოკიდებულება, რაიცა დიდ ზიანს მიუტანს სწავლა-აღზრდის საქმეს—დაადგინა:

მიეცეს წინადადება ყველა სოციალ-დემოკრატ მასწავლებლებს დაუყონებლივ განაახლონ მაცადინობა სკოლებში და მით აასრულონ თავისი რევოლიუციონურ მოქალაქობრივი მოვალეობა დღევანდელ საპასუხისმგებლო მომენტში.

მიმართოს ყველა, არა სოციალ-დემოკრატ მასწავლებლებს შეუერთდენ ამ დადგენილებას და განაახლონ მაცადინობა და მით ხელი შეუწყონ დღევანდელ პოლიტიკურ-ფინანსიური კრიზისის გადატანას".

ქუთაისის სოც.-დემ. კომიტეტი სთხოვს ყველა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს ხელი შეუწყონ ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებას. აუხსნან ხალხს დღევანდელი პოლიტიკურ-ფინანსიური მდგომარეობა და წინადადება მიეცეს მათ, რომ მოაწესრიგონ მასწავლებელთა უმწეო ეკონომიური მდგომარეობა, სანამ ამას შესძლებდენ უმაღლესი ორგანოები.

ამხანაგებო! ყოველგვარი ზომებია მიღებული სათანადო მთავრობის ორგანოების მიერ, რომ მასწავლებელთა ეკონომიური მდგომარეობა გაუმჯობესებული იქნეს რაც შეიძლება დაჩქარებით. ჩვენ დარწმუნებული ვართ მიღებული ზომები სასურველათ დაბოლავდება და მასწავლებელთა მოთხოვნილება დაკმაყოფილებული, ამიტომ ქუთაისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი კიდევ და კიდევ დაბეჯითებით სხოვს მასწავლებლებს დაუყონებლივ განაახლონ მაცადინეობა.

ქუთაისის სოც.-დემოკრატიული კომიტეტი. 23 იანვარი, ქ. ქუთაისი. („ს. დ.").

სადოსტაქრო საავადმყოფო

ქალაქში აუარებელი ავათმყოფი რჩება უპატრონოთ საავათმყოფოების უქონლობის გამო. ეს ითქმის განსაკუთრებით სადოსტაქრო ავათმყოფებზე. ამ მხრით ყველაზე უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებიან განაპირა უბნების მცხოვრებნი—მხოლოდ ავლაბარში არსებობს საავადმყოფოს სადოსტაქრო განყოფილება. დიდუბე, ნაძალადევი და ვერა უპატრონოთ არის დარჩენილი.

ამ ბოლო დროს უფრო აუტანელი ხდება საავათმყოფოების უქონლობა, რადგან ანარქიის გამო მატულობს დაჭრილთა რიცხვი.

ქალაქს, როგორც გავიგეთ, ყურადღება მიუქცევია ამ გარემოებისთვის. ამ დღეებში ქალაქის საბჭო განიხილავს ექიმ მუხაძის მოხსენებას ამ საკითხის შესახებ.

მოხსენებაში მოყვანილია სტატისტიკური ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი ავათმყოფი დარჩენილა საავათმყოფოს გარეშე ადგილების უქონლობის გამო. მართალია, თფილისში არსებობენ კერძო საავათმყოფოები, მაგრამ სიძვირის გამო ისინი მიუწდომელია ღარიბ მოქალაქეთათვის.

ჯერ ისევ ძველი პლუტოკრატიული საბჭოს დროს ხმოსანთა სოციალდემოკრატიული ჯგუფი მედგრათ მოითხოვდა, რომ განაპირა უბნებში საავათმყოფოები გახსნილიყო და დემოკრატიას საშუალება მისცემოდა თავის დროს შესაფერი დახმარება და განკურნება მიეღო. მაგრამ მაშინ დემოკრატიის სამართლიან მოთხოვნას ყურადღებას არავინ აქცევდა და განაპირა კუთხეებს საავათმყოფოები არ მიენიჭათ.

დღეს მდგომარეობა შეიცვალა, საბჭოში და საქალაქო გამგეობაში დემოკრატიის წარმომადგენლები არიან და იმედია უკანასკნელები სათანადო ყურადღებას მიაქცევენ განაპირა უბნების მცხოვრებთა სამართლიან მოთხოვნას და ზევით დასახელებულ ადგილებში სადოსტაქრო საავათმყოფო განყოფილებებს გახსნიან.

სიმონ პაიჭაძე

ორმოცი ქარიშხალიანი დღე-ღამე განვლეთ, რაც თფილისელმა ამხანაგებმა მიწას მიაბარეს მათთვის ჯერ კიდევ კარგათ გაუცნობელი მებრძოლი, მუშა სიმონ პაიჭაძე. მას ნაკლებათ იცნობდენ ჩვენში, რადგან თავის საუკეთესო წლები მან ბაქოში გაატარა.

პირველათ სიმონი მე ტრიბუნაზე ვნახე, იქ გავიცანი. ეს იყო 1907 წელს ბალახანაში, როცა ბედმა მეც მაზუთის სამეფოში სამუშაოთ გადამისროლა. ამ დროს იქ ბოლშევიკ-მენშევიკებს შორის განხეთქილება ჩამოვარდა და ორივე ფრაქციამ ცალ-ცალკე კონფერენცია გამართა მოქმედების გეგმის გასათვალისწინებლათ. პირველი კითხვა იყო: შეიძლება თუ არა კიდევ ვიქონიოთ იმედი ბოლშევიკებთან ერთობის აღდგენაზე, თუ მოვაწყოთ ცალკე ორგანიზაციაო. როცა თავმჯდომარემ გამოაცხადა სიტყვა ეკუთვნის ამხ. ს. პაიჭაძესო, ტრიბუნაზე ავიდა გამხდარი. ბეჭებში მოხრილი ახალგაზდა, რომლის ცეცხლის მფრქვევი თვალები წინასწარ გამცნევდათ, თუ რა გადახდენია მას ძმათა შორის ბრძოლაში. მისი სიტყვა იყო არა მარტო მუშათა საბრალმდებლო ოქმი დემაგოგ ხელმძღვანელებისა და ბოლშევიკურ ურა-ტაქტიკისა, არამედ გულწრფელი ამოძახილი შეგნებული მუშისა, რომელსაც გულს უკლავს თავის კლასის შუა გაყოფა. მის სიტყვას სულგანაბული ისმენდა საკმაოთ დიდი აუდიტორია.

კონფერენციის გათავების შემდეგ მე ამ რაიონში დავრჩი სამუშაოთ და სხვა მოწინავე მუშებთან ერთათ სიმონსაც დავუახლოვდი. ხშირათ თითონ მის სახლში გვქონდა კრებები. სიმონი აღმოჩნდა ერთი იმ მუშათაგანი, რომელთაც არც კი იციან რაა დაღალვა, როცა საერთო საქმეში გადაეშვებიან.

ამხ. სიმონს მტკიცეთ ქონდა შეგნებული დიდი მნიშვნელობა პროლეტარიატის მოძრაობის მთლიანობისა და იქაურ რუს მოწინავე მენშევიკ მუშებთან ერთათ ყოველ ღონეს ხმარობდა მის დასაცველათ. მათ ვერ შესძლეს ეს პარტიის შემწეობით, ვინაიდან იყო სხვა პარტიებიც (ესერები, დაშნაკელები) და თვით მათი პარტიაც ორათ გაიყო, მაშინ ეს მისია გადაიტანეს პროფესიონალურ კავშირებში. სამწუხაროთ, ამ მიზანს ვერც იქ მიაღწიეს, რადგან კავშირებიც ასევე დაიყო ამა თუ იმ პარტიის გავლენის ქვეშ, თითოეული გახდა ამა თუ იმ პარტიის დამატებით, მის ფილიალურ განყოფილებით.

ამხ. სიმონი, მთელი თავისი ძალით შეებრძოლა ამ მოვლენას და მოითხოვდა კავშირების ნეიტრალიზაციას. ამ ბრძოლას აწარმოებდა ბაქოს მუშათა საუკეთესო ნაწილი, ნაღები მაზუთის პროლეტარიატისა, რომელთა შორის ადგილი ქონდა სიმონსაც. ის უკვე მარჯვეთ ლაპარაკობდა რუსულ ენაზე და ამავე დროს გვარიანათ შეესწავლა თათრულიც, რის შესწავლას ჯერ კიდევ ბათუმში შედგომოდა. ამიტომაც იყო, რომ მის მუშაობას და მის ენერგიას ასე აფასებდენ ისეთი ღრმათ მომზადებული მუშები, როგორსაც თავი მოეყარა ხელოსან მუშათა კავშირში.

რევოლიუციის დასაწყისში ბაქოს პროლეტარიატმა სიმონს საპატიო პოსტები ჩააბარა, რთგორიცაა მ. დ. საბჭოების ცენტრი. ამის გამო ის ხშირათ თბილისში ცხოვრებდა და ჩვენ საუკეთესო ძალებთან ერთათ რევოლიუციის განმტკიცებისათვის თავდადებულათ განაგრძობდა თავის საყვარელ მუშაობას.

სამწუხაროდ ერთობ ადრე შესწყდა მის გულის ცემა, ადრე ჩაქრა იქ ღვთიური ცეცხლი. რაც ვერ შესძლო ნიკოლოზის რეჟიმმა თავის ციხეებით, ის მოახერხა მახინჯმა სიკვდილმა, რომელმაც მოულოდნელათ უსწრო მაშინ, როცა პროლეტარიატის რაზმისათვის ასე დანაკლისია სიმონისთანა გაწაფული მებრძოლნი.

ზ. დათიაშვილი.

—

გასული წლის 14 დეკემბერს ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ ქ. თფილისში გარდაიცვალა სიმონ პაიჭაძე.

ვინ იყო ის?

ხელობით ზეინკალი. მიმართულებით სოც. დემ. მენშევიკი.

პროლეტარულ შრომას ის ეწევა თორმეტი წლიდან. მუშაობს ქუთაისში, ფოთში, ბათუმში და ბაქოში.

სოც. დემ. პარტიის წევრათ ის გახდა 1902 წ. ამ წლიდან უკანასკნელ დრომდე ღებულობს ენერგიულ მონაწილეობას მუშათა მოძრაობის ყოველივე დარგში.

1905 ბათუმში იხურება ქარხნები, რის გამო იძულებულია მიატოვოს ბათუმი. მიდის გურიაში. აქ მას ირჩევენ კოლექტივში. მუშაობს ენერგიულათ. 906 იმარჯვებს რეაქცია. დაეძებენ აქტიურ მომუშავეებს, მათ შორის სიმონსაც. სიმონი გურიას თავს ანებებს და მიემგზავრება ბაქოში, სადაც განაგრძობს რევოლიუციონურ მოღვაწეობას. მუშაობს პარტიაში. პროფესიონალურ კავშირებში. მისი მოღვაწეობა ჟანდარმერიას შეუმჩნეველი არ რჩება. აპატიმრებენ ორჯერ 1906 და 1914.

ამხანაგები აფასებდენ მის უნარს და ენერგიას. ირჩევდენ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე.

უკანასკნელათ ის აირჩიეს ბაქოს მუშებმა დელეგატათ მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოების ყრილობაზე ყრილობამ კი ის აირჩია წევრათ საოლქო ცენტრში.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ მის ოჯახში, რეაქციის დროს, ყოველთვის ქონდა თავშესაფარი დევნილ ამხანაგებს.

მოწინავე მუშათა ჯგუფმა სიმონის სიკვდილით დაკარგა ერთი თავის საუკეთესო ენერგიული წევრი. ეს დანაკლისი მით უფრო საგრძნობელია, რომ დღეს საკეთებელი ბევრია და გამკეთებელი კი ცოტა.

აი ამ ბევრი საქმიანობით აიხსნება სწორეთ ის, რომ გასვენება ვერ მოხდა ისეთ, როგორც უნდა მომხდარიყო.

ამხ. სიმონ! შენი დასაფლავება ვერ მოხდა ისეთი ზეიმით და ამბავით, როგორც ეს ხდება ხშირათ. არ ყოფილა ბევრი ლენტები, გვირგვინები. შენ კუბოს მისდევდა მცირე ჯგუფი ამხანაგებისა. შენს წინაშე ბოდიშს არ ვიხდით, ვინაიდან ჩვენ, მუშებს გვაინტერესებს არა ფორმა, არამედ შინაარსი. გვაინტერესებს თვით საქმის გამარჯვება.

ალ.

რუსეთის ამბები

ბოლშევიკების მთავრობა ტაშკენტში. ტაშკენტში უკვე შემდგარა თავისუფალ რესპუბლიკის მთავრობა. მთავრობაში შედიან: წყლის მიწოდების კომისარი—შვეცოვი ყოფილი სისხლის სამართლის დამნაშავე; იუსტიციის კომისარი—ყოფილი მომრიგებელი მოსამართლე ზალესსკი, რომელსაც 75.000 მ. ობლების ფული გაუფლანგავს; საგარეო საქმეთა კომისარი—დომოგაცკი—უბრალო მოხელე; ფინანსთა კომისარი—კოლესოვი შუა აზიის რკინის გზის სახელოსნოს მუშა, განათლების კომისარი—სახალხო მასწავლებელი პერმეზსკი—რომელიც მასწავლებლობიდან დათხოვნილი იყო უსწავლელობის გამო, რადგან ასეთი უსწავლელი კაცი დანიშნეს განათლების კომისრად სასწავლებლებში სწავლა შესწყდა.

ბოლშევიკების სამხედრო მინისტრი პოდვოისკი არა სასიამოვნო მოხსენებას უმზადებს სახალხო კომისარებს და მუშათა და ჯარისკაცთა ყრილობას ფრონტის მდგომარეობის შესახებ. უპირველეს ყოვლისა პოდვოისკი აკრიტიკებს მის მიერ შედგენილს დეკრეტს სამხედრო პირთა უფლებრივ გათანასწორების და აფიცერთა არჩევნების შესახებ. ის სთხოვს სახალხო კომისარების საბჭოს გამოსცენ განსაკუთრებული განმარტება, რომ არტილერიაში, კავალერიაში და საინჟენერო ნაწილებში, სადაც აფიცრები მეცნიერულათ მომზადებულები უნდა იყვენ: დროებით შეაჩერონ არჩევნების წესები და დათხოვნილი აფიცრები თავიანთ ადგილებზე მიიღონ. შემდეგ პოდვოისკი სთხოვს სახალხო კომისარების საბჭოს დაეხმაროს კრილენკოს დეზერტირობასთან ბრძოლაში. დეზერტირობამ ამ ბოლო დროს საზღაპრო ხასიათი მიიღო. გარბიან უმეტესათ ჩრდილოეთის ფრონტიდან, სადაც ბოლშევიკები არიან გაბატონებულნი. ტობოლის ქვეითი პოლკში 20 დეკემბერს ოთხი ათასი კაცის მაგიერ იყო 900 კაცი, გრენადერის პოლკში 1000, ნოვორუსკის 1200, ყველაზე მეტათ თავი ისახელა ბლინის ქვეითა პოლკმა, სადაც მხოლოდ 150 კაცი დარჩა ე. ი. ერთი როტა. ყველა ამ ჯარებისთვის გადადებულ ფულს უკლებლათ იღებენ და ერთი კაპეიკი არ რჩებათ. ზედმეტი ფული ჯარისკაცების ხაზინაში შეაქვთ თავიანთ სახელზე და ამ გვარათ კარგა მოზრდილ თანხას აგროვებენ.

მშიერი ხალხის დახოცვა. აი რას მოგვითხრობს გაზეთი „რაბოჩეე დელო" ბოლშევიკების მიერ დამშეულ ხალხის დახოცვის შესახებ:

მოსკოვის ახლოს კოლომნაში ხალხი სრულიად დაიმშა. ექვსი დღის განმავლობაში ხალხს პური არ მისცეს. ამის გამო 28 დეკემბერს მოხდა სახალხო მიტინგი. ორატორები სასტიკათ კიცხავენ ბოლშევიკებს, რომ იგინი სასურსათო საქმეში ჩაერიენ და შიმშილობა გამოიწვიეს. გადასწყვიტეს წასულიყვენ საბჭოში და მოეთხოვათ, რომ ბოლშევიკები აღარ ჩარეოდენ სასურსათო საქმეში. ხალხი წყნარათ გაემართა, წინ მიდიოდენ მეზღვაურნი და ბავშვები. საბჭოსთან ხალხი შეჩერდა. გამოვიდენ წითელ გვარდიელები და გამოსვლისთანავე გადმოიღეს ვინტოვკები და ტყვიები სეტყვასავით დააყარეს ხალხს. მოხდა გულშემზარავი ამბავი—კივილი, ყვირილი, წყევა-კრულვა, გაგიჟებული ხალხი აქეთ იქით ეცა, ზოგი იქვე ეცემა გულ-გაგმირული და ზოგი გაგიჟებული გარბოდა. წითელ გვარდიელებმა მეორეჯერ დააყარეს ტყვიები. წინ მდგომმა მეზღვაურმა დაუყვირა წითელ გვარდიელებს:

— ამხანაგებო! რას ჩადიხართ! ამხანაგებო!.. სიტყვა პირში შერჩა და იქვე გაგორდა თოვლზე, მისი გულიდან ამონახეთქმა სისხლმა წითლათ შეღება თოვლი, მის გვერდით მოკლეს 8 წლის ბავშვი.

სროლა კარგა ხანს გაგრძელდა, დაჭრილ დახოცილები მრავალი ეყარნენ თოვლზე, მაგრამ დაჭრილების წაყვანას ვერვინ ბედავდა.

დახოცილია მოკლეს 12 კაცი და დაიჭრა 70 მეტი. ეს სისხლის ღვრა იმით დამთავრდა, რომ მოკლეს ცნობილი ბოლშევიკი [illegible] წითელ გვარდიელების შტაბის უფროსი, რომელიც ხოცვა-ჟლეტას მეთაურობდა. ის ქუჩაში დაიჭირეს ჯარისკაცებმა. [illegible]

დასავლეთის ფრონტზე ჯარისკაცებმა ვაჭრობა გამართეს ნემეცებთან, ჰყიდიან ზარბაზნებს თითოს 120 მანეთათ, ხოლო ტყვიის მფრქვევლებს [illegible].

ბოლშევიკების მთავრობა აცხადებს კოკოშკინის და შინგარიოვის მკვლელობის გამო: „მკვლელობა! [illegible] რევოლიუციონერები არა ხართ, [illegible] ხადეთ, რომ ღირსეულად დაისჯება". ეჭვს გარეშეა, მკვლელები არ [illegible] დებიან და ბოლშევიკები გამოაცხადებენ მკვლელებს კონტრ-რევოლიუციონერებს [illegible].

პეტროგრადის გარნიზონის განწყობილება. პეტროგრადის გარნიზონის ჯარისკაცები [illegible] რაც შეიძლება ადრე ბოლო მოუღონ ამ გაურკვეველ სახავო მდგომარეობას, სიტყვა საქმეში არ გადაიტანონ და საბოლოო ზავი არ შეკრან, [illegible] ბოლშევიკებს [illegible] ჯარისკაცები [illegible] ამბობენ, რომ არას [illegible] ზავი [illegible].

გურიის ამბები

რევოლუციონური წეს-რიგის დაცვა გურიაში. ამ უკანასკნელ დღეებში გურიის ზოგიერთ სოფლებში [illegible] ბანდები [illegible] და მოქმედებენ, რომლებიც [illegible] მოწინავე გურიას.

იმ მიზნით, რომ თავიდანვე ჩაიკლას [illegible]

ანარქიის ნიშნები გურიაში, ოზურგეთის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ამ რამდენიმე დღის წინ შეადგინა გურიის დროებითი სამხედრო რევოლიუციონური კომიტეტი და მას გადასცა მთელი ძალა-უფლება ოზურგეთის მაზრაში. მან გამოსცა 7 მუხლისაგან შემდგარი სავალდებულო დადგენილება და მოუწოდა მცხოვრებთ უსიტყვოთ დაემორჩილონ მის განკარგულებებს. ამავე კომიტეტთან დაარსდა სამხედრო რევოლიუციონური ტრიბუნალი, რომელიც შესდგება ყველა პოლიტიკურ პარტიების (4 პარ.) და რეოვოლიუციონური ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან; 7 წევრი—4 პარტიების წარმომადგენლები და 3 ორგანიზაციებისა. ტრიბუნალი უკვე შეუდგა მოქმედებას, პირველი მისი სხდომა გაიმართა 19 იანვარს დიდძალი ხალხის თანადასწრებით ოზურგეთის სამხედრო ციხეში. ისტორიული სხდომა იყო პირველი სხდომა გურიის სამხედრო რევოლიუციონური ტრიბუნალისა და ამიტომაც ამ ვეებერთელა ისტორიულ, ერთ დროს გურიის მყრობელთა და შემდეგ ძველი მთავრობის დამქაშთა საბუდარ ციხე-სიმაგრეში გაიმართა ის. ამ დღეს გაირჩა რამდენიმე საქმე, რომელთაგან ერთ ბრალდებულს, მილიციონერ კალანდაძეს, რომელსაც ბრალად ედებოდა არსენალიდან ორი ვინტოვკის მოპარვა ყარაულობის დროს, 3 წლით ციხეში ჯდომა გადუწყვიტა, მაგრამ უწლოვანებისა გამო 1 წლით შეუცვალა. მეორე სხდომა ტრიბუნალისა შესდგა 22 იანვარს. ამ დღეს სხვათა შორის გაირჩა პოდპორუჩიკ ჯორბენაძის საქმე, რომელსაც ტრიბუნალმა სამხედრო კომიტეტისაგან გამოცემული განკარგულების წინააღმდეგ ქუჩაში მთვრალი გამოსვლისა და რევოლვერის გასროლისთვის ერთი კვირის ციხე მიუსაჯა.

ასეთმა ზომებმა გასჭრეს, ტრიბუნალს ხალხი პატივისცემით ეპყრობა, შავრაზმელები აილაგმენ. ის ჯარისკაცთა კავშირებიც კი, რომლებიც ფრონტიდან დაბრუნებულმა ჯარისკაცებმა შექმნეს, დღეს ისეთ საშიშროებას აღარ წარმოადგენენ, როგორც წინად, რადგან მათში ჩაერი მოწინავე პირები. აქა-იქ სოფლებში კიდევ თუ დარჩა ასეთი კავშირები, რომლებშიც პროტესტანტული სული ტრიალებს და ყოველგვარ რევოლიუციონურ ორგანიზაციების წინააღმდეგ ილაშქრებენ და მით არევ-დარევას ახდენენ, ამ უკანასკნელ ხანებში ასეთებიც გონს მოდიან და გლეხთა საბჭოებს უერთდებიან.

ამასთანავე გურიის სოციალ-დემოკრატიულმა სამხედრო-სარევოლიუციო შტაბმა მოაწყო წითელი გვარდია, რომელის ნაწილები ყველა პარტიულ რაიონებში არის და წესრიგს იცავს.

ამგვარათ, ჯერ-ჯერობით ძირშივე ჩაიკვლა ანარქიის ნიშნები და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ რევოლიუციონური წესრიგი არ დაირღვევა გურიაში შემდეგშიდაც.

როგორც მკითხველებს უკვე მოეხსენება, გურიის სამხედრო-სარევოლიუციო შტაბმა თფილისს მიაწოდა 200 კაცისაგან შემდგარი რევოლიუციონური რაზმი. ახლა ასეთივე რაზმი მან გაგზავნა ბათუმში. ეს რაზმი, შემდგარი 200-მდე კაცისაგან, უმთავრესად მოიკრიბა ლიხაურში, ბახვში, დვაბზუსა და შემოქმედში. ის გაემგზავრა ბათუმში 22 იანვარს. მის გასაცილებლად ქ. ოზურგეთში გაიმართა მიტინგი, სადაც წარმოითქვა მისასალმებელი სიტყვები. რაზმი მრავალმა ხალხმა გააცილა.

მიწის დეკრეტის ცხოვრებაში გასატარებლათ ოზურგეთის სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობა ჰკრებს ცნობებს იმის შესახებ, თუ სად რამდენია მემამულე, რამდენი მიწა აქვს, სახნავ-სათესია თუ საბალახო, ტყე, ბაღნარი და სხვა. ეს ცნობები იკრიბება სოფლის საგლეხო საბჭოების, სოც.-დემ. კოლექტივებისა და აღმასრულებელი კომიტეტების საშვალებით. ამ ცნობების უკანასკნელად შეგროვების შემდეგ გადაიჭრება კითხვა მიწის ნორმის შესახებ, რაიც ამ დღეებში მოხდება.

ხუსეინ.

წერილი გორიდან*)

საშინელ მდგომარეობაში ჩავცვივდით გორელები. ყოველივე ჩვენგანი დღედღეზე სიკვდილის მოლოდინშია. მთელ ქალაქში უსაშინელესი პანიკაა გამეფებული.

პროვოკაციამ აქაც თავი წამოჰყო, ხულიგანურმა გამოსვლებმა აშკარა იერიში მოიტანეს ჩვენს წმინდათა-წმინდაზე: რევოლიუციონურ ორგანიზაციებზე. ეს არა წმინდა პირები ყოველივე ღონეს ღებულობენ განხეთქილება ჩამოაგდონ ჯარისკაცთა და მუშათა საბჭოებს შორის. ამას ესენი არამც თუ ვერ ეღირსებიან, არამედ ამ ბოლო დროს ამ ორ რევოლიუციონურ ორგანიზაციებს შორის უფრო მჭიდრო კავშირი შეიკრა და შეეხმაურენ სხვა რაიონების საბჭოებსაც და დაარსდა გორის მაზრის მუშათა, სალდათთა და გლეხთა შეერთებული საბჭოების ცენტრი. მუშაობას და მუყაითობას უფრო გაცხოველებული აწარმოებენ ხელი-ხელ ჩაკიდებულნი, „სული სულს იცნობს“. ამით რომ ვერას გახდნენ „ჩვენი ქვეყნის გმირები“, ნაძირალები შეძვრენ გორში დაბანაკებულ ქართულ პოლკში და აი, აქ გამწარებული ეწევიან ყოველგვარ საზიზღარ პროვოკაციას. ქართული პოლკის შემადგენლობა ძალზე აჭრელებულია. 100—150 კაცამდე თუ გამოირჩევა საიმედო პირი. უმეტესი ნაწილი კი ისეთს პიროვნებებს წარმოადგენს, რომლებიც ადვილათ ეგებიან პროვოკატორთა ანკესზე. ჩვენი იმედი და სასოება, ჩვენი ხელის შემწყობი რევოლიუციონურ ხანაში, ნიწილი ქართული პოლკისა ლამის არის ანარქიის საფუძვლათ იქცეს.

ქართულ პოლკში მოკალათებული ზოგიერთი მეარონე, ჯიბგირი და გათახსირებული ჯარისკაცები ახდენენ ანარქიას და არევ-დარევას გორში. გორის ნაძირალები ამოჰფარებიან სწორეთ ამ შეუგნებელ ჯარის კაცებს და თავზარსა სცემენ გორის მცხოვრებთ.

შეიარაღებული ჯარისკაცები დაძრწიან ქუჩა-ქუჩა ღამე და დღე და ისვრიან თოფებს და მშვიდობიან მცხოვრებთ შიშის ზარს სცემენ. დღე-დღეზე ემუქრებიან ქალაქს დარბევით და აოხრებით. გეგონებათ ქართველი ჯარი კი არა დგას აქ, მტერი შეგვესევიაო. პატარა ბავშვები და ქალები თავზარდაცემულები დამფრთხალი წიწილებივით ცახცახით ოჯახებში იმალებიან. იმ დროს, როდესაც ისედაც განაწამები ქვეყანა ირგვლივ ცეცხლის ალშია გახვეული, ეს „დევ-გმირები“ ცეცხლზე ნავთს გვისხამენ. ყოველივე კულტურული დაწესებულება ყოველ წამს მოელის დარბევა-დაწიოკებას.

„მანდილოსნის“ საჩაიეში ხშირია ქართველი ჯარისკაცის შეზარხოშებული „ყარამან-ყათილური“ რევოლვერის ჰაზანი და კბილებით ჭიქების კვნეტა.

დიახ, სწორეთ ქართული პოლკის ჯარისკაცმა შატბერაშვილმა ამ რამდენიმე დღის წინათ „მანდილოსნის“ საჩაიეში რამდენიმე ჭიქა ძირიან-ფესვიანათ შესჭამა და თან რევოლვერის მუქარით პატარა მოსამსახურე ქალი მოიხმო და ხმა-მაღლა შემოუძახა: აჰა, „ჭუკული“, (ჯარისკაცთა მიღებული საარშიყო ცინიკური ტერმინია) გამომართვი ამ ჩაკვნეტილი ჭიქისა, რა გერგება?

მოქალაქენო, ჭიქა მაწონი, ან რაიმე კი არ შეუჭამია „დევ-გმირ“ ჯარისკაცს... თითონ ჭიქა ჩაკვნიტა, შუშა!

ისე გამხეცდა ეს კაცობა დაკარგული კაცუნა, რომ ქალების არავითარმა ხვეწნა-მუდარამ მასზე არ გასჭრა. ისე მოიმწყვდია კაკანათში მთელი იქ მყოფნი, როგორც კატამ თაგვი. ამაზე მეტს დამცირებას და სირცხვილს განა რომელი გაათრებული მტერი მოგვაყენებს!

ამათ შიშით ქალიშვილს ქუჩაში ვეღარ გაუვლია: (ცინიკურათ ელაზღანდარებიან და გამოლეშილნი მხეცურის ინსტიკტით გათახსირებულ სიტყვებს თან აყოლებენ. არც ერთ მტერს, არაფერ ცეცხლის გენიას ისეთი ზარალი არ შეუძლიან მოუტანოს მშვიდობიან მცხოვრებთ, როგორსაც ქართული პოლკის ზოგიერთი ჯარისკაცებისაგან მოველით. მტრის წინააღმდეგ იარაღით ხელში მაინც შეგვიძლიან გახვიდე. ქართველი ჯარისკაცები ამის საშუალებასაც გვისპობენ: იარაღსა ჰყრიან ჩვენ წითელ გვარდიას და მილიციას და ნაცემ-ნატყეპს ხელ-ცარიელს ისტუმრებენ. ჩვენ ვეკითხებით მათ: ვისთანა გვაქვს საქმე, რა გინდათ ჩვენგან, რათ გვაწიოკებთ, ჩვენ ხომ თქვენი ძმები ვართ? ისინი უსირცხვილოთ გვიპასუხებენ: мнѣ хочется кушать, не оправдывайся!

სწორეთ, რომ მგელსა და კრავის მდგომარეობაში ჩავცვივდით; ერთის მხრივ უიარაღო, მშვიდობიანი მცხოვრებნი, რომლებიც თავის შინაურ საქმეს თვითონვე აგვარებენ რევოლიუციონური ორგანოების დახმარებით და მეორეს მხრივ კიდევ იარაღ ასხმული ხულიგანთა ბრბო, რომელიც გაალმასებული დახეტიალობს ქუჩებში „სადავლოთ“. დიახ, ჩვენ პირდაპირ ვიტყვით, რომ ქართული პოლკის ჯარისკაცების ნაწილი პოლკისავე სამარცხვინოთ, გორის მაზრაში რევოლიუციას კი არ დარაჯობენ, პირიქით, ესენი აქ რბევასა, ძარცვა-გლეჯას და ხულიგანურ გამოსვლებს უწყობენ ხელს. ჩვენ ვამბობთ ქართული პოლკის ნაწილზე და არა მთელ შემადგენლობაზე.

ჩვენ იმედი გვაქვს შეგნებული ამხანაგების დახმარებით ამნაირ გაუგებრობას ბოლო მოეღება და ქართული პოლკი გადახალასდება იმ შემადგენლობათ, როგორიც შეჰფერის ნამდვილ რევოლიუციონურს.

გულ-დამწვარი.

---

*) ეს წერილი, 20 დეკემბერს 1917 წელს გორიდან ფოსტით გამოგზავნილი, 25 იანვარს მივიღეთ. ვბეჭდავთ იმიტომ, რომ წერილში აღწერილი გორის მდგომარეობა მას შემდეგ არა თუ გაუმჯობესდა, გაუარესდა კიდეც.

რედ.

თფილისის დეპოში

დეპოს პარტიულ კოლექტივის ხელმძღვანელობით მოხდა პარტიის შეერთებული კრება. კრებამ მოისმინა ამხანაგების მოხსენება. შაუმიანის და მისი მდივნის კუზნეცოვის შესახებ. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„სამუდამოთ ვკიცხავთ ბ. შაუმიანის ზევიდან დანიშვნას. ისიც ლენინის და მისი ავანტიურისტულ კომპანიის მიერ. ჩვენს სასტიკ პროტესტს ვუცხადებთ ავანტიურისტებს.

ჩვენ გვახსოვს რუსეთის გახრწნილი მთავრობა, რომელიც გვიგზავნიდა მათი სურვილით ნამესტნიკებს და ჟანდარმებს. იმასვე იმეორებს ლენინი და მისი კომპანია. შორს ჩვენგან ავანტიურისტები და ზევიდან დანიშნული მართველობა. ჩვენ სრულს ნდობას ვუცხადებთ ამიერ-კავკასიის სეიმს და ვუსურვებთ დემოკრატიის საკეთილდღეოთ მოქმედებას“.

დეპოს მუშა.

სოც.-დემ. პარტიაში

ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამართველო. სამმართველოს მცირე კოლექტივს რ. ს. დ.-მ. პ. ამ თვეში ჰქონდა რამდენიმე კრება, რომლებზედაც სხვა კითხვებთა შორის აღსანიშნავია შემდეგი. 1) დაცვა რკინის გზის სამართველოსი, 2) დანიშვნა კომისარის თანაშემწეებისა სამსახურებში და 3) გაწმენდა სამმართველოსი კონტრ-რევოლიუციონურ ელემენტებისგან. პირველი კითხვა გამოიწვია სამმართველოს კომიტეტის საერთო კასიდან 12000 მ. დაკარგვამ, რომლის წაღებას არავითარი ძალადობის და სხვა ნიშნები არა აქვს. ამ კითხვაზე ამორჩეულ ამხანაგისგან ც. კ. მოლაპარაკების შემდეგ მცირე კოლექტივი დაკმაყოფილდა, რადგან ც. კ. მიუღია მხედველობაში და ადგენს დასაცავათ ყველანაირ რკინის გზის საუნჯისა მილიციას და იმ დაკარგულის შესახებ სწარმოებს გამოძიება. მეორე საკითხზე მცირე კოლექტივი გამოსთქვამს აზრს, რომ ერთი კომისარი ვერას გზით ვერ გაუძლევება დაკისრებულ საქმეს და მით უმეტეს, მოსამსახურეები ვერ გრძნობენ საკმაო ძალას და ბნელი ძალები სარგებლობენ რა ამით ეწევიან თავიანთ შავრაზმულ აგიტაციას, რაიც დეზორგანიზაციას ახდენს. აუცილებლათ საჭიროა კომისარის თანაშემწეების დანიშვნა, რომელიც დაკავშირებული იქნება ც. კ. და მათაც გაუადვილებს მუშაობას. მცირე კოლექტივს შეუძლიან მისცეს ღირსეული კანდიდატები. მესამე კითხვის შესახებ ყველა წევრი მცირე კოლექტივისა გამოსთქვამს თავის საყვედურს, რომ აქამდე სხვადასხვა მიზეზების გამო ც. კ. არ მოჰყავს სისრულეში მესამე ყრილობის დადგენილება სამართველოს გაწმენდისა კონტრ-რევოლიუციონურ ელემენტებისგან და კატეგორიულათ უცხადებს ც. კ. გაწმენდილ იქნას სამმართველო შავრაზმელებისგან, რადგან ამ ბოლო დროს ბევრმა მათგანმა, რომელიმე ნაციონალურ საბჭოში მოიკალათა. მცირე კოლექტივი ყველანაირ დახმარებას გაუწევს ც. კ. თუ დასჭირდა და სიასაც სათანადო დამამტკიცებელ საბუთებით წარუდგენს.

„ობერი“.

პროვინცია

ს. ხრიალეთი (გურია). აქ არსებობს სხვადასხვა კულტურული დაწესებულებები: უფასო წიგნთსაცავ სამკითხველო, მომხმარებელი დუქანი „ძმობა“. 16 იანვარს შესდგა კრება მომხმარებელ დუქნის საქმის შესახებ და კრების გახსნის შემდეგ სარევიზიო კომისიის წევრმა ქ. ჩხაიძემ გააკეთა მოხსენება თუ როგორ ყოფილა დაყენებული დუქნის წარმოება. მოისმინა რა კრებამ ყოველივე შემდეგ შეუდგენ ანგარიშის განხილვას. აღმოჩნდა შემდეგი: აქტივი. კასაში აღმოჩნდა ნაღდი ფული 4828 მან. 95 კაპ. საქონელი დუქანში 4601 მან. 34 კაპ. მოძრავი ქონება, ორი შენობა დუქნის 1527 მან. 51 კაპ. ინვენტარი ღირებული 549 მ. 75 კ. სულ 11,507 მან. 55 კაპ. დებეტი. სად. ნატანების კავშირში 540 მან., ქუთაისის კავშირში 170 მან., გაგზავნილი საქონლისთვის 6000 მან., ახალები კიდევ კავშირში 22 მან. 75 კაპ., სკოლის მზრუნველებზე 250 მან., ჭის გასაკეთებლათ დახარჯული 418 მან. 45 კაპ. სულ 7401 მან. 20 კ. პასივი. საწევრო და საპაიო 1881 მან. მობარებული სხვადასხვა პირებისაგან 12.656 მ. 10 კ. სულ 14,537 მან. 10 კაპ. ძველი მოსაგები 740 მან. შენობა ერთი ძველათ ნაყიდი 535 მან., კერძოთ შემოსული 47 მან. სულ 1322 მან. ექვსი თვის განმავლობაში დუქანს მოუგია შემდეგი—3049 მ. 65 კ. მადლობა გამოუცხადა კრებამ გამგეობას და ნოქარს. კრებამ სთხოვა ძველ გამგეობას დარჩენილიყო, მაგრამ მათ არ ისურვეს დარჩენა. მათ მაგიერ აირჩიეს იაკინთე ჩხაიძე, სოფო მეგრელიძე, ვასილ იობიშვილი და ნოქრათ დავით ჩაჩნელიძე. სარევიზიო კომისიის, წევრებათ ორი დარჩა ძველები რომანოზ მეგრელიძე, და კვიროსი ჩხაიძე; მესამე ამხანაგათ კრებამ დაუმატა ე. ჩხაიძე. შემდეგ კრებამ 100 მ. დაასაჩუქრა წლის მკერავი ნოქარი რ. ჩხაიძე ერდგული მუშაობისათვის.

ერმილე ჩხაიძე.

ს. წიფნაგვარა (გურია). მიუხედავათ ამ სოფლის სიღარიბისა და კომლთა მცირე რიცხვისა (40 კომლია) აქაურები ძლიერ სიფხიზლეს იჩენენ ყოველ-გვარ კულტურულ საქმეში. აქ არსებობს ორ კომპლექტიანი სამინისტრო სკოლა და მომხმარებელი საზოგადოება. პირველ იანვარს კი ამ სოფლის საზოგადო კრებამ იქონია მსჯელობა ბიბლიოთეკის გახსნაზე და ერთხმათ დაადგინა: გაიხსნას ბიბლ. გურიის მშრომელი ხალხის მესაიდუმლე—ჩვენი საყვარელი ეგნატე ნინოშვილის სახელობაზე. ამავე კრებაზე გაიმართა ხელის მოწერა, სადაც შეგროვილ იქნა ბიბლიოთეკის სასარგებლოთ 350 მანეთი. კრების დასასრულ არჩეულ იქნა ბიბლიოთეკის მომწყობი კომისია, რომელსაც დაევალა ყოველგვარი ზომების მიღება ფონდის გასაძლიერებლათ და შესაფერი შენობის შესაძენათ. ამავე მიზნით 14 იანვარს ადგილობრივ სკოლის დარბაზში აქაური მოწაფეების მიერ გამართულ იქნა საბავშვო წარმოდგენა, რომლის შემოსავალი (ხარჯების გამოკლებით 80 მანეთი) გადაეცა ბიბლიოთეკის მომწყობ კომისიას. დიდი მადლობის ღირსნი არიან როგორც ამ საბავშვო წარმოდგენის მომწყობნი ამხ. თედორე სიხარულიძე და უშანგი ფოცხიშვილი, აგრეთვე თვით წარმოდგენაში მონაწილე მოწაფეებიც. უღრმეს მადლობას ვსწირავთ აგრეთვე ყველა იმ პირებს, რომელთაც პირველ იანვარს გაიღეს თავიანთი წვლილი ამ ბიბლიოთეკის სასარგებლოთ.

X

ნახიჩევანი (ერევ. გუბერ.). აქ სადგურზე რკინის გზის მოსამსახურეებმა დაარსეს კოპ. სასადილო; პირველ გამგეობის ერთმა წევრმა ნ. ახვლედიანმა (ბოლშევიკია) რაც საწევრო ფული მოაგროვა, მიითვისა და კიდეც გადავიდა აქედან. დანარჩენი გამგ. წევრები ცოტათ თუ ბევრათ სცდილობდენ საქმის მოგვარებას, მაგრამ ჯარების წყალობით ის გაღადგა და მათ ადგილას აირჩიეს მემანქანე კანდუქტ. ს. იოსელიანი ვ. გორგაძე და მანედიორი ბელაბროცკი. რის შემდეგაც სულ ცოტა ხნის განმავლობაში 1000 მან. ისევ გაჰქრა.

სხვა უბედურებასთან არც აქაური რკინის გზის კოოპერატივს ეშველა რა, გამგეობის თავმჯდომარე ბეგლარბეგოვმა კომბოსტოს შესაძენათ გაგზავნა გორის მაზრაში ალექსი კეპაშვილი, რომელსაც გარდასცა 900 მან. ფული, მაგრამ ეს კომბოსტო გაყიდული იქმნა გორში, რასაც უნდა მოეგო, მაგრამ ბ. კეპაშვილის სიტყვით იზარალა 251 მან. საზოგადოებამ გაუნაღდა ეს ფული და უნდა დაებრუნებია კეპაშვილს 649 მან. მაგრამ კეპაშვილმა ამ ფულის ერთად გადახდა შესაძლოთ ვერ სცნო, როგორც ახლად დახარჯული ის ხანგრძლივ ვადას ითხოვდა თუ არა და სულ რომ არ გადვიხადო რას მიზამთ თუ იცით!

ზემოხეთელი.

საჭამიას სერი (გურია). 18 იანვარს საჭამიას სერზე შესდგა ადგილობრივ ჯარისკაცთა კრება. კრების მიზანი იყო ის შეერთებოდა საჭამია სერის მუშათა საბჭოს და შეექმნა ერთი მთლიანი მ. და ჯარისკაცთა საბჭო. მოხსენებას აკეთებს ამხ. ლადიკო ყენია, რომელიც ვრცლათ ახასიათებს თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მუშათა და ჯარისკაცთა შეერთებას, რამდენათ ხელს უწყობს მათი ერთობა რევოლიუციის გაღრმავებას და წესიერების დამყარებას. ჯარისკაცთა კრებამ ერთხმად გადასწყვიტა შეერთებოდა საჭამია სერზე არსებულ მუშათა საბჭოს დაფარული კენჭის ყრით. აირჩია 5 წარმომადგენელი: ირ. ვაჩეიშვილი, ესტატე ცხომელიძე, ი. სხვიტარიძე, ვ. გუბელიძე და გრ. ხუნდაძე. ეს ხუთი წევრი შეუერთდა ადგილობრივ მუშათა საბჭოს, რომელიც შედგება 11 კაცისაგან. ასეთმა შეერთებულმა მ. და ჯ. კ. საბჭომ სასურველათ სცნო თითო წარმომადგენელი მოიწვიოს ადგილობრივი პოლიტიკური პარტიებიდან მ. და ჯარისკაცთა საბჭო უცხადებს რა სრულ ნდობას კავკასიის კამისარიატს ადგენს: დაუყონებლივ შეკრიბოს იარაღები, როგორც ჯარისკაცთაგან, ისე კერძო პირებისაგან, თვალყური ადევნოს არაყის ხდას და მის ბაზარზე გატანას, მოახდინოს სიმინდის რეკვიზიცია და სასტიკი თვალყური ადევნოს და წინააღმდეგობა გაუწიოს სპეკულიაციას.

X.

ანგარიში

რ. ს. დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის კასის მდგომარეობა 1917 წელში (პირველ მაისიდან წლის ბოლომდე).

შემოსავალი:

საპროცენტო გადასახადი თფ. კომიტეტს	8385 მ.	29 კ.
შემოწირულება	226 „	„
საარჩევნო ფონდის	33.164 „	03 „
გაყიდული საკანცელიარო წიგნებიდან	191 „	„
დაბრუნებული სხვადასხვა პირებიდან	1147 „	50 „
სესხათ საოლქო კომიტეტიდან	65 „	„
საწევრო ბარათების ანგარიშში	1100 „	„
საწევრო გადასახადი	391 „	75 „
ერთდროული შემოსავლელი გადასახადი	417 „	„
„ერთობის“ რედ. შეშის ფასში	120 „	„
ფოთის ს. დ. ორგ. გაფუჭებულ პლაკატების ფასი	129 „	„
ლექციებიდან	284 „	15 „
სულ	45.620 მ.	72 კ.

გასავალი:

საკანცელიარიო ხარჯები	708 მ.	20 კ.
სასტამბო ხარჯები	7435 „	30 „
ჯამაგირი მოსამსახურეებს	4086 „	40 „
ინვენტარი	201 „	95 „
გადახდილი ვალები	6085 „	50 „
სარგებელი და გირაოსი ბანკს	606 „	15 „
სახლის ქირა	255 „	„
საპროცენტო გადასახადი საოლ. კომიტეტს	4091 „	20 „
შემთხვევითი ხარჯები	362 „	50 „
წვრილმანი ხარჯები	34 „	35 „
საოლქო კ—ტს დამფ. კრების არჩევნების საწარმოებლათ	8000 „	„
დამფუძნებელ კრების საარჩევნო ხარჯები	659 „	53 „
სხვადასხვა ხარჯები	61 „	20 „
გათბობა	447 „	„
	33.304 მ.	28 კ.
რჩება კასაში 1918 წლის პირველ იანვრისა	12.586 „	44 „
ბალანსი	45.620 „	72 „

თფილისის კომიტეტის მდივანი **ივ. ხინაურიძე.**

მეტეხის ციხეში

24 იანვარს თავდაცვის ცენტრალურ შტაბის განკარგულებით გვქონდა მონდობილი ციხის დაცვა. წავიყვანეთ წითელი გვარდიელები. სხვადასხვა პოსტებზე ღამის ორ საათზე ჩვენთან მოვიდა ციხის კომისარი, რომელმაც მოითხოვა ათი წითელ გვარდიელი ქალების კამერიდან მთვრალ ახალგაზრდა კაცის გამოსაყვანათ. შევედით კამერაში, ტუსაღს ჩავაცვით ტანისამოსი. გაჩხრეკის დროს აღმოჩნდა, რომ ტუსაღებს ნაკლებათ აქცევენ ყურადღებას ციხის მეთვალყურეები. ამბობენ, ტუსაღებს იარაღიც აქვთ შენახულიო; არ ვიცი რამდენათ მართალია ეს, მხოლოდ მე თითონ კი ვნახე, როდესაც ერთმა ტუსაღმა მიაწოდა ჩვენს ამხანაგს ვინტოვკის ტყვიები თითო მანეთის დაფასებით. მეორე დღეს წავართვით 86 ცალი ტყვია ერთ ახალგაზრდას, რომელიც იყო მოსული თავის ძმის სანახავად. ტუსაღებმა გვითხრეს: ჩვენ ყველანი ბალშევიკები ვართო, არაფერს არ დაგვითმობს ბურჟუები ჩვენ, თუ არ წავართვით ძალით მათ, ამისათვის არ უნდა დაგვატუსაღონო. საჭიროა ყურადღება იქნას მიქცეული და გაიჩხრიკოს ყველა კამერები, რომ ტუსაღებმა არ გამოიწვიონ მსხვერპლი იარაღით.

ივ. ლორია.

ცნობები

ჯარის-კაცთა შესახებ.

ალექსანდრე ხარაიშვილი მსახურებდა მე-2 კავკასიის „პაგრ[illegible]ნნო“ პოლკში, 1 როტაში. 5 თვე არის, რაც მისი არა ვიცით რა. ის იმყოფებოდა სპარსეთის ფრონტზე, თუ ვინმემ რაიმე იცით მის შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: ст. Бѣлагоры ხუნევის საზოგადოება, ივანე თ. ლომიძეს.

დაკარგე

ერთი ჯვარი და 2 მენდალი № 895,895. 647,627. მპოვნელს ვთხოვ გამომიგზავნოს შემდეგი ადრესით: 5 ქართული პოლკი 8 როტა, ივანე მაისურაძე. მივცემ ვერცხლის ფასს. 1—1

ექიმი
დ. ი. ქორდანია

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები სისხლ ნაკლებბა. ქრონიკული პალიარია და ქრონიკული ტრაპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე).

სამკურნალო კაბინეთი
ექიმი ალექსანდრე დავითის ძის
კეკელიასი

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ექიმი გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი ვ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვერანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი
გ. დონხიძე

ყოფილ ასსისტენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს
თვალის ტკივილებით ავადმყოფებს,
დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი
ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

კვირას, 4 თებერვალს დილის 11 საათზე ბირჟის დარბაზში (პუშკინის პასაჟი) დანიშნულია თფილისის მომხმარებელ საზოგადოების „**მანუფაქტურის**“ წევრთა

საზოგადო კრება

დღის წესრიგი:

1) დამაარსებელთა ანგარიში,

2) წესდების და მასთან შეკავშირებულ საკითხების განხილვა,

3 ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება,

4) არჩევნები გამგეობის წევრებისა და სარევიზიო კომისიისა.

კოოპერატივში წევრათ ჩაწერა შეიძლება შემდეგ პირებთან:

1) ზურაბ აბაჯევთან—პუშკინის პასაჟი № 6. 2) ალექსანდრე მამიკონიანცთან—ბერძენთა პასაჟი № 9. კრების დღეს კი ჩაწერა შეიძლება ბირჟის დარბაზში. (2—1)

საქართ. კოოპერატ. საყურადღებოთ

საქართველოს ეროვნული საბჭოს თაოსნობით 2 თებერვალს თფილისის გუბერნიაში (ქუთაისის გუბერნიის და ბათომის მიდამოების შესახებ ცალკე იქნება გამოცხადებული) მოწვეულია ყოველგვარ ტიპის (საკრედიტო, მწარმოებელი, გამსაღებელი და მომხმარებელი) **კოოპერატივების შეერთებული სამაზრო ყრილობა.** ყრილობას უნდა დაესწროს თვითეულ კოოპერატივის, სარაიონო, სამაზრო, საქალაქო, საგუბერნიო და ამიერ-კავკასიის საკოოპერაციო კავშირების თითო წარმომადგენელი (შეიძლება მეტიც). განსახილველი საგანია: 1) საქართველოს ეროვნულ საბჭოს ფინანსიური დახმარების აღმოჩენა, 2) საზოგადოდ კოოპერატივების მონაწილეობა ხალხში ფინანსიურ ორგანიზაციების შესაქმნელად ეროვნულ საბჭოს სასარგებლოდ. კრებები მოხდება ყველგან 2 **თებერვალს,** ყველგან დილის სრულს 11 საათზე და დაესწრება თფილისიდან საქ. ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელი: **გორის მაზრის** კრება ქალაქ გორში საკრებულოს დარბაზში. **ზაქათალის და სიღნაღის** სიღნაღში ქართულ დარბაზში. **თელავის და თიანეთის** თელავში შემნახველ გამსესხებელი ამხ. **ახალციხე-ახალქალაქის** ახალციხეში კოოპ. „მესხეთში“. **თფილისის** თფილისში ეროვნულ საბჭოში. **დუშეთის** დუშეთში საკრებულოში. კრების გადადება შეუძლებელია. საბჭოს სექციის მოწოდება ყველა კოოპერატივს დაეგზავნა ფოსტით. თუ ფოსტის მიზეზის გამო რომელიმე კოოპერატივმა არ მიიღო მოწოდების ფურცელი, კოოპერატივებმა უნდა იხელმძღვანელონ გაზეთში მოთავსებულ განცხადებითაც და თავისი წარმომადგენელი უეჭველად გაგზავნონ კრებაზე დანიშნულ დროს და ადგილს.

(7—4) **ეროვნულ საბჭოს საფინანსო სექცია.**

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაზეთის შესახვევი, № 1.